

საქართველოს
საზოგადოებრივი

საქართველოს საზოგადოებრივი



№ 5



საქართველოს
საზოგადოებრივი



1909

შინაარსი



ქართული
ნაციონალური
ბიბლიოთეკა

I—„ბულბული“.—ღექსი, ი. კვდოშვილისა	3
II—ღიდებული საჩუქარი.—(დასასრული) ვაჟა-ფშაველასი . .	5
III—ბულბულის ამონაკენესი.—ივანელისა	16
IV—გაზაფხულის მოლოდინში.—ღექსი, დ. ელიათშვილისა	25
V—უცხო და თავისიანი.—(იგავი), თეო კანდელაკისა	27
VI—ესკიმოსის დედაკაცი.—(ფრანგულით) თარგმანი გან- დეგილისა	29
VII—უკანასკნელი დღე.—(აღმოსავლეთის თქმულება) რუ- სულათ, თარგმანი თეო კანდელაკისა	40
VIII—სინათლე და მისი მნიშვნელობა.—(შემდეგი) ი. მო- სეშვილისა	46
IX—ნაპოლეონ ბონაპარტი.—(შემდეგი), თარგმანი თ. ბაქ- რაძისა	52
X—მითოლოგია, ტროადის ომი.—არესი დმურთის დაჭრა ა. შიქაბერძისა	59
XI—გასართობი:—ა) ამოცანა, — ბ) ანდაზები, — ბ) რე- ბუსი და აღნა	32



ნაპაღ უღი

საქართველოს
საბჭოთაო
საბჭოთაო

საქართველოს საბჭოთაო
საბჭოთაო

საქართველოს
საბჭოთაო

საქართველოს
საბჭოთაო



მაისი, 1909 წ.



ტფილისი, ელექტრონის სტამბა წიგნების გამომცემელ ქართველთა ამზანაგობისა.

შინაარსი

I— „ბულბული“. — ლექსი, ა. ევდოშვილისა	3
II— დიდებული საჩუქარი. — (დასასრუდა) ვაჟა-ფშაველასა . .	5
III— ბულბულის ამონაკენესი. — ივანეჯისა	16
IV— გაზაფხულის მოლოდინში. — ლექსი, დ. კლიაშვილისა	25
V— უცხო და თავისიანი. — (იგავი), თეო კანდელაკისა	27
VI— ესკიმოსის ღედაკაცი. — (ფრანგულით) თარგმანი კან- დევიდისა	29
VII— უკანასკნელი დღე. — (ადმოსავლეთის თქმულება) რუ- სულით, თარგმანი თეო კანდელაკისა	40
VIII— სინათლე და მისი მნიშვნელობა. — (შემდეგი) ა. მო- სეშვილისა	46
IX— ნაპოლეონ ბონაპარტი. — (შემდეგი), თარგმანი თ. ბაქ- რაძისა	52
X— მითოლოგია, ტროადის ომი. — არქსი ღმერთის დაჭრა ა. შიქაპურიძისა	59
XI— გასართობი: — ა) ამოცანა, — ბ) ანდაზები, — გ) რე- ბუსი და აღსნა	82



გ უ ლ გ უ ლ ი

მე დიდი რამ არ გეგონოთ,
ფრინველი ვარ სულ პატარა,
მაგრამ ჩემი ფასი ვიცი,—
არა ვმღერი წარა-მარა!

ნაცრის ფერა,—ცუგრუმელა
გაზრდილი ვარ ვარდის ბუჩქზე,
ხან ვკენესი და ხან ვკისკისებ
ძმურს, მეგობრულს სიყვარულზე!

მოჩუხჩუხე წყაროს პანგებს
თან მიესდევ და ვუწყობ ხმასა,
ნიაფი რომ გვერდს ჩამირბენს,
მასაც ტკბილად ვაძლევ ბანსა!

მაგრამ მთვარე, ბადრი მთვარე
მიყვარს, მიყვარს; იმას ველი,
ის რომ მალლა ცაში სცურავს,—
მე ყურს მიგდებს ძირს სოფელი.

ლამაზია ვარსკვლავთ კრებაც
და იმათი ლიტანია,
მიცინიან, იცინიან,
მეც ვმღერი და მიხარია!



ღამე დაღლილს, დაქანცულსა
სოფლის მუშას ვუტკობ ძილსა:
„დაიძინე, შეგერგება,“
ვუმღერ მხარ-ბეჭ გაოფლილსა!

დილით დავკრავ კრიმინკულებს,
მას ვაღვიძებ: „ადექ ჩქარა,
საბარ-სათოხნ-გასათიბმა
სამუშაოდ დაგიბარა.“


აჭრიალდა ურმის ღერძი,
და მეხრემაც შემოსძახა,
ძირს დაეშვა მზისა სხივი
მთა მაღალი გაღმოლახა!

ვენახს, მინდორს, ტყეს და ქალას
კვლავ სოფელი მოეფინა.
რა კარგია გაზაფხული,
რა კარგია მისი დილა!

ყრიამული მზიარული,
მუშაობა სახალისო,
და მას ვუმღერ, იმას ვეტრფი
მე ბულბული სამაისო!

ი. ევდოშვილი





დიდებული საჩუქარი

(დასასრული)



ოდალაც უწონებს სიმღერას და, მისდა უნებურად, რამდენჯერ შევსწრებივარ, აყვირებს ხოლმე. სად გაგონილა? სადა თქმულა ამისთანა უმსგავსობა? ჩვენს ქალაში მამის არ გაუგონია და პაპის მამლის ყვირილი, ახლა-კი ლამის არის მთელი ქალა მამლის ყვირლმა ამოაგდოს ძირიან-ფესვიანადაო. გარდა ამისა, ხომ მოგეხსენებათ, იჩივლეს იხვებმა და ბატებმა, შეურაცხყოფა მოგვაყენესო. ხოხბისთვისაც რალაც რალაცები დაეწყო. კაკებიცა სჩივიან, უზრდელად მოგვექცა, გზაში გადმოგვიდგაო.

— ერთი უყურე იმ უკეთურს, იმას! წარმოსთქვეს ერთხმად ფრინველთა:—ყველას გამოგვიკედა ყურები წივილითა, ნისკარტის რაკუნითა, გადაახმო მთელი ქალა, ერთი ხე აღარ არის, რომ მაგის ნაჩიქნი და ნაჯიჯგნი არ იყოს; ეს არ იკმარა და ახლა ამხანაგიც მოიშველია?! დავსაჯოთ კოდალაცო,—დაადასტურეს:—ახლავ, ამ საათში!.. წამოიშალა მთე-



ლი ფრინველთა გუნდი, ყველა ნაირი, რა დაგეგმულა, გამძღვარეს წინ ჩხიკვი და შემოართყეს ალყა მამლის სადგომ ბინას სწორედ იმ დროს, როცა მეგობრები საუზმეს შეექცეოდნენ.

— რა არის? რა ამბავია? ბერიკობაა თუ არიფანაზე დადიხართ? — შეუძახა კოდალამ მოზღვავებულ ფრინველებს.

— არიფანას გაჩვენებთ, შე არამზადავ, შენა, — უპასუხეს ფრინველებმა, — შენი რა დიდი მადლობელი ვართ ამ ქალაში ცხოვრებისა, რა დიდი სარგებლობა ნახა ტყემ ან ჩვენ შენგან, რომ ახლა შენზე უარესი სხვა არ გაგვიხადო ჭირად, საკვებადად. თქვენმა ყვირილმა და ღრიალმა ხომ წაიღო ყურთა სმენა. გასწით ორივენი, დაიკარგენით აქედან, თორემ, იცოდეთ, კოცხლებს არ გაგიშვებთ არც ერთს. ვინა გყავს ეგ გაძმავებული, უნდა ხელში მოგვცე. უნდა იარაღი დაჰყაროთ, ჩვენს განკარგულებას დაემორჩილოთ.

მამალი ძალიან მოიბუზა. გულში შიში შეეპარა, მაგრამ კოდალას მიინც გასამხნევებელი სიტყვა უთხრა: ვიბრძოლოთ, მანამ წვეთი სისხლი გვიდგაო.

— გაგიყვებულხართ, თუ რა არი? არც იარაღს დავეყრით და ვერც ძმად გაფიცულს მოგცემთ ხელში. რაღა კაცი ვიქნები მაშინ? თქვენ, როგორც გატყობთ, უნდა დაისაკუთროთ ეს ქალა, მაგრამ რა საბუთით? რისთვის? ბევრნი რო ხართ და მოგვერევით, იმიტომ? არ არის კაი კაცობა, ვაჟკაცს არ შეპშვენის მაგისტანა საქციელი, — გაუმეორა კოდალამ.

— ბევრს ნუ ყბედობ! ასრულებთ ჩვენს ბრძანებას თუ არა?! — დაუყვირეს ფრინველებმა ერთ-ხმად. ძერა ამ დროს მოთათბირებებს თავზე დაჰბრუნავდა და წრეს ავლებდა.

— არასოდეს. ჩვენ სულელურ განაჩენებს არ ვემორჩილებით, — სთქვა კოდალამ.

— სწორედ ეგრეა. — შეუმოწმა მამალმა და თან თავი გამოჰყო ფულუროდან.

— რაღა ბევრს ვალაბარაკებთ, დაჰყარით მაგ წუწყებს,



მაგათი—დაიგრიოლა ერთ-ხმად ფრინველთა გუნდმა (და მშვენიერი სივნიერ ნისკარტებით და ბრკყალებით ჯერ მამალს, რომელიც ცოტა ხანს გაუშავრდა.

— რას სჩადიხართ, თქვე უზრდელეზო, იქნებ არა ჰხუმრობთ? აღარ იცით სტუმარ-მამა პინძლობა?—უპასუხებდა მამალი და მიმართულს ნისკარტებს ბარჯღალებით იგერიებდა.

— ჩვენა ვართ და არ ვიცით სწორედ, — იძახოდნენ ფრინველნი და უშენდნენ ნისკარტებს ჯიჯლიბოზე. კოდალა ძალიან მხნედ მოიქცა, მხარი დაუჭირა მეგობარს, მდგრად იბრძოდა, მაგრამ იძლია, თავ-სისხლიანი დაბლა ფორთხავდა. მამლის მხნეობამ ველარ გაუძლო მტრის სიმრავლეს, უკუ იქცა: გაუსხლტდა ფრინველებს ხელიდან, იბღლად ერთი ფულურო წაჩებილი წიფელი შეხვდა და ამ წიფლის ფულუროს ეცა. გული საშინლად უცემდა, თავ-პირიდან სისხლი ჩამოსდიოდა; ბოლო და ფრთები მთლად გაჯიჯგნილ-გაწიწკნილი ჰქონდა, ყველაფერი დაავიწყდა, კოდალაც აღარ ახსოვდა. მიკუნქული, საცოდავად მობუზული იქაც ელოდა ფრინველთა იერიშს და გადასწყვიტა სიკვდილი, ღმერთს აბარებდა სულს და სთხოვდა ცოდვითა მიტევებას. მაგრამ ფრინველნი გამარჯვებულნი გაიფანტ-გამოიფანტნენ, მოედენენ ტყეს და შეუდგნენ თავ-თავიანთ ხელობას. დარწმუნდნენ, რომ მამალი, თუ ცოცხალი გადარჩა, ქალაში აღარ გაიქაქანებდა.

ნუ დაივიწყებთ, რომ ამ დროს უკვე ზამთარი იდგა. ქალის ბოლოს, ასე 4—5 ვერსის მანძილზე, პატარა სოფელი მოსჩანდა. ამ სოფლის მცხოვრებნი შეშას, თუ სხვა ხის მასალას, რაც დასკირდებოდათ, ამ ქალიდან ეზიდებოდნენ.

ამ სოფლიდან გზაც პირდაპირ ქალაში შედიოდა. შობის წინა დღე იყო, რომ დამწყობებული ურმები შეშით დატვირთული მოდიოდა ტყიდან და იდგა შოლტების ტლაშატლუში და ზედ დამხილი: „ოტპუ, კამერო ნიშაო, გასწი, არა გიშავო!“



ვისაც ურემი არა ჰქონდა, პირ-და-პირ წნელით გამოუვებო მორები ხარებისთვის და ისე მოათრეინებდნენ. შიშლინიშა

სოფლის განაპირას იდგა მიწური სახლი ნინიკა ჰანტა-ყლაპიაშვილისა. ნინიკას ერთის ცოლისა და თავის თავის მეტი არავინ გააჩნდა, თუმცა ორივენი, ცოლი და ქმარი, შუა ხანს გადაცილებულნი იყვნენ... სწყინდათ ასე უნაყოფო სიცოცხლე, მაგრამ რა გაეწყობოდა: მეტი რა ღონე ჰქონდათ, უნდა დამორჩილებოდნენ თავიანთ ბედს. ღმერთს, ხატს ბევრი ეხვეწნენ, ბევრისგან ბევრს მკითხავს აკითხვიან და, რაკი საწადელი არ აუსრულდათ, ყველას თავი მიანებეს და მიყუჩდნენ.

— ოპოო, ე, ოპოო, დადექით! ეუბნებოდა ნინიკა ხარებს, როცა კარებზე მიათრევიანა გრძელი წიფლის ხე.

— სალომე, სალომე! დაუძახა დედაკაცს, თვითონ-კი ხარებს უშვებდა უღლიდან, ტაბიკებიდან სამალდესა ჰხსნიდა: სალომე!—დაიძახა კვალად ნინიკამ და, ჯერ არ დაემთავრებინა სიტყვა, რომ სახლის კარებიდან გამოჩნდა შუათანა ტანისა, საკმაოდ სქელი, წითური დედაკაცი.

— რა არის, კაცო, რამოდენა ხე აგიდვია ხარებისათვის? მოგძულებიან, ხელ იღარ გინდა შეება უღელში?.. უთხრა სალომემ ქმარს საყვედური.

— რა? დიღია ვითომ? ამათ-კი ვენაცვალე ღმერთში, ისე მოიტაცეს, როგორც ბუმბული. განა ვერ შევატყობ, როცა უქირთ და ხარები ვერ ერევიან, არც-კი გაუგიათ ისე მოიტანეს.—სთქვა რა ეს ნინიკამ, დაუწყო ფხანა ყელ-ყურში ხან ერთს და ხან მეორეს,—თავის საყვარელ ნისლა მოზერებს. ამ დროს სალომე ხეს ათვლიერებდა თავსა და ბოლოს.

— მე კვრივი ხე მეგონა, ფულურო ყოფილა და კიდევ იმიტომ მოიტანეს ხარებმა აგრე სუბუქად,—წარმოსთქვა სალომემ.

— ფულუროა და, აბა, ეგ არის კიდევ, აი! ისე მოედება ცეცხლი, რჯულის მადლმა, როგორც კვარსა,—ფიცხია კვერ-



ცხის ნაქუჭივით... არც ახლა დამიკლავ, სალომე, დედალს? ჰო და რაო, რილასთვის ინახავ, შე კარგო ადამიანს? — შობის ხვალ არი.

— ეპ, ნეტავი შენა! — წარმოსთქვა სალომემ ალერს — შერეულ წყრომის კილოთი. რალაც სამი დედალი მიგდია, იმათაც კიდევ მოვაკლო, წიწილები რასლა გავაზდენო...

— არ იქნება, მაშ, არ იქნება? არ შაიძლება? აი ახლა მაწყენინე. მაშ, ცარიელი მქადი უნდა ვლოდნო საუფლო დღესა? არაფერს არა ჰგავს, თორე შენ იცი, სალომე — ქალო! — სთქვა ნინიკამ.

— რათა ცარიელი მქადი? ჩადი დუქანში, იყიდე ერთი-ორი გირვანქა ღორის ხორცი, — დაე სამი იყოს, — ამოიტანე. ყველი და ცოტაოდენი ერბო შინა მიქვს. გამოგაცხობ კეცეულებს და იქეიფე. რაო, ქათამი რომ არ იყოს, აღარ შაიძლება შობის მიგებება?.. უთხრა სალომემ ქმარს ისეთის ტკბილის და შთაგონების კილოთი, რომ ნინიკა ძალა-უნებურად უნდა დასთანხმებოდა.

— მოიტა, მაშ, ფული!... სთქვა ნინიკამ და თან გაიცინა.

— გახსენი დარღუბლის კიდობანი, ეუბნებოდა ნინიკა და თან ხელს უშვერდა.

— აბაი, მოიცა, სულთა-მხუთავი ხომ არა ხარ, კაცო! ჯერ ხომ არსად მისდინარ? სხვა არა იყოს რა, პური არ მოგშივდა? პური ქამე და მერე წადი სავაქროდ.

— ჰოო, აი ეგ კარგი სთქვი, სალომე-ქალო! რაც კარგია-კარგია, მე და ჩემმა ღმერთმა. პური ძალიანა მშიან, — წარმოსთქვა ნინიკამ და ხელების ფშვენეტით შევიდა სახლში. ბუბრის წინ ტახტიდან ლიტრა აიღო, ხელები გადიბანა, შეიწმინდა ჩოხის კალთით და ცეცხლს მიუპყრო გასაშრობ-გასათობად. ბუბრის გვერდზე კოხტა პატარძალივით მოჰყენიკებული ლობიოს სადულარიც მოსჩანდა.

ნინიკამ არხეინად ტახტზე მოიკეცა, ცოლმა ხონჩა მოა-



რომ, რომელზედაც ორი მკად-პურა იდო. დაუსრულებელი
ქვის ჯამზე ლობიო და დაუდგა წინ თავის მეუღლესთან.

— აქ მობძანდი, ძმობილო, ჩემთან, — უთხრა ლობიოან
ჯამს ნინიკამ და მიიწია ახლო... ჩააბუებუეა ლობიოში მკად-
პურა, დაადგა თავს სამი თითით და ისეთი მადიანად ილუკმე-
ბოდა, რომ სახლის დედა-ბოძის ყბებმაც-კი ტოკვა და ნერ-
წყვის ყლაპვა დაიწყო და შუა წელში ბოძზე დარჩენილი ტოტი
ისე იყო წამოშვერილი, თითქოს ხელს აწვდიდა — ცოტაოდენ
ნი მეც მითავაზეო.

მოწმინდა ჯამი კარგად სალოკი თითით, გადადგა ხონჩა
და ჯამი ერთად, ვადიბერტყა კალთიდან ნამცეცები. ავაშე-
ნოს ღმერთამო, ზედ დააყოლა და წამოდგა ფეხზე.

— აბა, სალომე-ჯან, რა ჰქენი, გახსენი დარღუბლის
კიდობანი?! მოიტა ფული, უნდა წავიდე დუქანში, — უთხრა
ნინიკამ.

— ჯერ შეშა დააბე თვალ-ნათლივ სჯობია. შენ, მე
ვიცი, იქ მოიგვიანებ, შეგხედება ვინმე, გაებმები და ხვალ
უშეშოდ დავრჩებით, — უთხრა სალომემ.

— გავებმები კი არა, ის არ გინდა. თუ არ დაგიშლია,
ფსონში დავჯდები. მივალ, ხელად ვივაქრებ და წამოვალ, —
მიუგო ნინიკამ.

— მართალს ამბობ, სწორედ? შეაკითხა სალომე: — მაშ,
ღვინოს არ დაღვე, დავიჯერო?!

— გიყი ვიქნები, არ დავლიო, თუ შემომთავაზა ვინმე,
ღვინოსაც დავღვე, არაყსაც კარგად გიახლები, მაგრამ არ
გავებმები-კი, იცოდე. ახლა ხატსა და ღმერთს ხომ არ დამი-
ფიცებ.

— კარგი, გენდობი, — უთხრა სალომემ და თან კრელ
ჩითის ნაკუწში გამოკრული ათ-შაურიანი ჰქონოდა და ის
ჩააბარა მეუღლეს, თანაც სანავთე თუნუქის გირვანქიანი თუ
გორვანქა ნახევრიანი, მკვარტლისაგან გაყვითლებული. წასე-
ლის დროს ესეც დააბარა: ნინიკო, იცოდე, თუ მთვრალი
მოსულხარ, კარებს არ გაგიღებ..



— კარგი და ვგრე იყოს, — წარმოსთქვა ნინიკამ ათშაურის ჩიბბარა, — რა და რა გიყიდა? წყელი ფარჩის საკაბე? აბრეშუმის ქალაღია? კიდევ რა? მაშ, ხურდა რამდენი-ღა მოგიტანო? — ეუბნებოდა ნინიკა ცოლს და ცინვის კილოთი!

— შენ ხომ რა, აღარ დაიშლი! რომ მეშაებნელმა ათშაურის მოცე, მაშინაც არ მიყიდი არაფერს. ჰოო, კარგი, წადი ჩქარა და მალე მოდი, მოჰკრა ხელი აღერისიანად ცოლმა ნინიკას და, მხარში ხელ-ჩაქიდებული, კარებამდის მიაცილა.

დაავლო ნინიკამ ჯოხს ხელი და გასწია ძუნძულით დუქნისკენ. მართლაც ნინიკა პირობაზე მალე დაბრუნდა, ჯერ არ დაბინდებულყო, ხოლო მეორე მუხლი პირობისა დაერღვია — შეზარხოშებული გახლდათ. გადასცა ნავაქრი ცოლსა და შეუდგა შეშის ქრას. იმ დღეს მოტანილს წიფლის ხეს დაადგა ცულით წვერიდან, რადგან უფრო წვერილი იყო. წიფელი წვერში მკვრივი აღმოჩნდა, ხოლო შუა წელში ნუერი ჰქონდა და აქედან ხე უკვე გამოფულურებული იყო. ნინიკამ ნუერს ააცილა ცული და ნუერის ქვეით დაჰკრა, ჯერ-ერთხელ, ახლა მეორედ... ჰმ, რაღაც ქუქყუნი შამოვსმა ხიდან... ნინიკა უკან გადმოხტა... შეჩერდა ცოტა ხანს. მიიხედ მოიხედა, ხომ არაფინა მხედავსო. მიუახლოვდა ხეს, შემოჰკრა ცული — რაღაც ფართხალობს ხის ფულურში. ეჰ, აქ რაღაც ამბავია, ამ ვერანაში ტურა ან მელა-კი არ იჯდესო, იფიქრა ნინიკამ და დაუძახა ცოლს.

— სალომე, დედაკაცო, ერთი სანთელი მოანთე, — უყვიროდა ნინიკა ცოლს.

— სანთელი რაღად გინდა, რა ვქნა? — უპასუხა სალომემ.

— მოიტა — მეთქი, ჩქარა! უყვიროდა ნინიკა და თან ფიზილად ადევნებდა თვალს ხის ძირს, რომ დამწყვედული, რაღაც იყო, იქიდან არ გაჰსხლტომოდა. სალომემ მოანათა სანთელი და შეეკითხა, რა დაგემაართა, რა იყოვო.



— მე ცულს შემოვკრავ, ეუბნებოდა ნინია ცულს ნდღე: შენ ერთი ყური დაუგდე, ამ ხის ფულუროში რა გამგონება, თუ მართლა არის რამე. ჩემს თავს ვერ უჯერებ. აბა, ჰა, ყური დაუგდე კარგად! უთხრა ცოლს ნინიკამ და თანაც დაარტყა ხეს ცული. მოისმა კვალად ქუქყუნი.. ჰაა, გაიგონე? ჰკითხავდა ნინია სალომეს.

— არის, კაცო, არის რაღაცა, — უპასუხა სალომემ, რომელიც გაფაციცებით ყურს უგდებდა.

— აბა, კილობი, ან სხვა რამე, ჩქარა, დაუცოთ პირი ხეს, რომ ფულუროდან არ გაგვიძვრეს, ვინ იცის, იქნება კვერნაა. უყურე მაშინ შენს ილბალს — ხელად საქათიბეს იშოვი, თუ არა — მელა ხომ იქნება და იქნება, ან ტურა.

სალომემ სწრაფად მოარბენინა ძველის კილობის ნაგლეჯი, რომელიც ცოლ-ქმარმა მაგრა დაუცეს ხეს ფულუროში და ზედ ქვები მიაწყეს, რომ უფრო მაგრა დაეკეტათ კარები იმ უჩინარის ცხოველისათვის, ხის ფულუროში რომ განისვენებდა.

სალომე უფრო აიტანა ცნობის მოყვარულობამ და სულ იმას იძახოდა — ნეტა რა უნდა იყოსო!

ნინია უშენდა ახლა უფრო გაბედულად ცულს და ჩააჩინა კიდევ ფულუროში და უფრო ცხადად შამოცმა ფხაკუნი, უნდოდა ნინიკას ხელი შეეყო, მაგრამ თანაც ვერა ჰბედავდა, ვაი თუ ხელზე მიკბინოსო და, რომ შიში არ გამოეგოს ცოლმაო, სალომე წააქეზა.

— სალომე, სალომე! მე დიდი ხელი მაქვს, არ ჩაეტევა, მოდი ერთი ხელი შაპყა, გავიგოთ, რა არის, — უთხრა ნინიკამ ცოლსა.

— დიად, გინდა-კი, ხელი ჩავყო, განა ხელი ნათხოვარი მაქვს? შენ შაპყა რა! ხელი-კი არა, თუნდა ფეხიც ჩაგეტევა, იმოდენა ქუქრუტანაა, — უპასუხებდა სალომე და თან უკან იწევედა.

— რისა გეშინიან, რა ვქნა, აქ არა ვარ?! — ამხნევებდა ნინიკა.



— შენ რომ აქა ხარ, ჩემ ხელს რას უშველი? — უკანასკნელს ხეზდა სალომე. ბევრის თხოვნისა, თათბირისა და მეორის შეგულონიების შემდეგ ძლივს ისევ სალომემ გაბედა და წკებლა შეუჩუჩხუნა. ქუჭრუტანიდან უკვე გარკვევით ყვირილი მოისმა და თანაც კენტად ერთი წითელი ფრთა გამოჩნდა. ახლა-კი აღარ აცალა ცოლს ნინიკამ და თავად შეყო ხელი ფულუროში და ერთის ვაი-ვაგლახით და ყვირილით გამოათრია მამალი...

— არ გიკვირს, ადამიანო? — ამბობდა ერთი.

— არ გიკვირს! — იმეორებდა მეორე. საიდან? როგორ?

— ეს რალაც ღვთის წყალობაა! — ამბობდა ნინიკა და სიხარულით ცას დაეწია. ცოლი უფრო გახარებული იყო.

— ოჰ, დაილოცე, ღმერთო, მამალი არა მყვანდა და ვიშოვეო. ცოლ-ქმარს დიდი თათბირი შეექნათ იმის თაობაზე, თუ საიდან გაჩნდა მამალი ფულუროში, თუმცა ნამდვილს კვალს-კი ვერ მიაგნეს. მამალი ისეთსა ღრიალებდა, ვიდრე შინ შეიყვანდნენ, რომ მისი ყვირილი სოფლის თავიდან სოფლის ბოლოს ისმოდა. სალომეს დედლებმაც კი ქანდარაზე ვიშ-ვიში და კრიახი დაიწყეს — რა არის, რა ამბავიაო? ეკითხებოდნენ ერთმანეთს. ნინიკას თვით მამალი არ აღალებდა ისე, როგორც მამლის სასწაულებრივი შექმნა: — აქ რალაც ამბავია! რალაც ღვთის წყალობაა! რიღასიც ნიშანია და კაი ნიშანიც, ამბობდა თავისთვის ნინიკა და ამ ფიქრს გულში იმარხავდა, არავის უმხელდა... დარწმუნებული იყო, მამლის ამ ნაირი მოპოვება ვაჟს შემქენსო — დაინახავს ქვეყანა თუ არაო! მხოლოდ, ვიმეორებ, არავისთან არ ამხელდა და არც განმარტავდა ამ ამბავს, დაე, ვისაც ჰქვია აქვს თავში, მიჰხედეს და გაიგოსო. სალომესაც კი არ ეუბნებოდა მამლის ამ არა-ჩვეულებრივად მოპოვების მნიშვნელობას, ხოლო აგრძნობინებდა-კი: — ეს ხუმრობა საქმე ნუ გგონია, სალომე! კაი ამბავია, რო იცოდე, — ეტყოდა ნინიკა სალომეს.



— ვენაცვალე უფლის მადლსა და სახელს, ნეტან, ნეტან...
ნება, — უპასუხებდა სალომე.

— აბა, შე ოჯახ-დაქცეულო, ახი არ არის, ახლა ეს მა-
მალი დაეკლა შენს ჯიბრზე, დედალი რო არ დამიკალი? — უთ-
ხრა ნინიკამ სალომეს, თუმცა ნისლა მოზვერს უფრო გვი-
მეტებდა დასაკლავად, ვიდრე მამალს — დიალ მამალს ხომ
დაგაკვლენინებ, მაშ არა? უპასუხა სალომემ. საწყალი, საიდან
მისულა ტყეში, იქ რა ესაქმებოდა? საკვირველია, ღმერთმა-
ნი! ამბობდა სალომე და მაშინათვე ბაწრით თაროს ბოძზე
დააბეს მამალი და საკენკიც დაუყარეს. მამალი გაბრუებული
იყო, ჯერ ისევ ეტყობოდა ფრინველების მიერ დაჩნეული
წყლულები. მხოლოდ, ცოტა არ იყოს, გულში სინათლის შუ-
ქი შეეპარა და მომავალის, ბედნიერის მომავალის იმედი გა-
უბრწყინდა: უბრუნდებოდა ძველს, სანატრელს ცხოვრებას,
პშორდებოდა უჩვევს ყოფას, უცხო ტომში, სადაც გული
გულს ვერა სცნობდა და სული — სულსა...

მცირე ვახშმის შემდეგ, ცოლ-ქმართ აღრე დაიძინეს. ნი-
ნიკამ იმ ღამესვე კაი სიზმარი ნახა; სიზმარში ბერი გამოეც-
ხადა, ახლო მონასტრის ბერს, ონოფრეს, მიამსგავსა; ძვირ-
ფას ფარჩა-ატლასებში გამოხვეული ზავში მიაწოდა ამ სიტ-
ყვებით: „შვილი შენი — ნათლული ჩემი, ღმერთმა გაგიზარდოს,
ბედნიერი მამა ხარ, რომ ამისთანა შვილი გეყოლა, შესანიშნა-
ვი კაცი გამოვაო.“ ნინიკა სიხარულით ფეხზე აღარა დგებოდა.
მართლაც, ზავში მშვენიერი იყო: მსუქანი, მსხვილ-თვალა,
ფუნთუშა, ოქროს ფერი ხუჭუჭი თმა ბეჭებზე ეყარა. მამა
შვილს ხელში ბურთივით ათამაშებდა, ჰკოცნიდა ხელ-ფეხზე,
მთელს ტანზედ, თან ეუბნებოდა: „ვენაცვალოს მამა შვილსა,
კარგსა, ტკბილსა, მშვენიერსა,“ ამ დროს სალომე აკვანს უპ-
ზადებდა, იქვე ტახტზე მუხლ-მოკეცილი... ოჰ, ზარი რომ
არ დაერეკათ, ვინ იცის, კიდევ რასა ჰნახავდა, მაგრამ იმ და-
საქცევმა ყიყლიყომ (ასე ეძახოდნენ მეტს სახელად სოფლის
მღვდელსა) გაუფრთხო ტკბილი სიზმარი... მაინც ნინიკამ

დიდად ნასიამოვნებმა გაიღვიძა, სიზმარი მხოლოდ სალო-
მეს უამბო, თუმცა ამასაც ნანობდა, იქნება სჯობდა, ვიდრე
თვინ გამემხილა ის, რაც მოვიხილეო...

შობა დღე გათენდა, — მრავალი გაგითენოთ ღმერთმა! —
და ნინიკასაც ეწვია სტუმრად მისი ნათლიმამა და გული-
თადი მეგობარი მკედელი, კოკლი სვიმონა. მასპინძელს გა-
უხარდა სტუმრის მოსვლა. მაშინვე მოჰხადა ორ-ჩაფიან ქოცოს,
ზედაშეს, და იმ დილითვე შეაყოფეს. სვიმონა გამზიარულ-
და, ნინიკამ მამლის ამბავი უამბო და სტუმარმაც ეს შემთხვე-
ვა ნინიკას განსაკუთრებულს იღბალს მიაწერა და თავისე-
ბურად გაბრტყელებით წარმოთქმულ ანდაზით დაადასტურა:
„ვისაც ღმერთი ბედს მისცემს, ნათლიჯან, ნათქვამია, ზურგს
უკან კომბლით მისწევსო!“

კარგად რომ გადაჰკრეს, „ჰარუნანო-თარუნანოც“ დასძა-
ხეს. ამ დროს იმათზე ნაკლებ განცხრომაში არც მამალი იყო:
შემოჰხვეოდნენ გარს დედლები, თვითონ შუაში ჩასდგომოდა,
დებს დებსზე რტემდა და დასძახოდა თავის საგალობელს. მო-
საგონებლად ეჯავრებოდა ტყე და იქ ცხოვრება უცხო ტომ-
ში, სადაც უსიამოვნობის მეტი ვერაფერი ნახა... აღარ ახსოვდა
თავისი მეგობარი, მისთვის თავ-დადებული, მოქირნახულე
კოდალი, რომელიც ბრძოლის ველზე დარჩა დაკოდილი და
ცოცხალ-მკვდარი...

ვაჟა-ფშაველა





ბუღბუღის ამონაკუნესი

ვეძღვნი საქარუველოს დიდებას—მგოსანს აკაკის *)

სულ-განახული ზღბუღი
 ფოთლემში მიმალულიყო,
 შიგანშიტკბილე ჩიტუნას:
 „შენ ხომ არა ხარ, სულიყო!“
 შეიღობრილო მგოსანმა,
 ყვეილს ნისკარტი შეპო,
 ჩიიკუნეს-ჩიიკიკიკიკი,
 თითქოს სიკვა: „დიამ-დიამო!“

აკაკი.



პრილის მიწურული გახლდათ, როცა
 ჩემს ტკბილ სამშობლოში დავე-
 ბრუნდი. როგორც თქვენი, პა-
 ტარებო, ჩემი სამშობლოც სა-
 ქართველოა. აქ გამოვიჩიკე პა-
 ტარა კვერცხიდან, აქ
 დავინახე პირველად საქართვე-

ლოს მშვენიერი ლაქვარდი ცა, აქ შევეისუნთქე სამშობლოს
 დაწმენდილი, სუფთა ჰაერი, აქ გავეშალე პირველად ჩემი ფრთე-

*) თუ ჩემი ნაწერები, ჩემო პატარა მგობრებო, თქვენის ყურად-
 ლების ღირსი იჯას, გახსოვდეთ, რომ იმათი გამოკვეყნება გამოიწვია ჩვენის
 სათაყვანებელის აკაკის თანაგრძნობაში და პატივის-ცემამ. იეტორი.



ბი, აქ დავიწყებ პირველად ჩემი ხელობა. ჩემი ხელობა, გაგეგონებათ, გალობაა. დიად, მგოსანი გახლავართ ხელობით, გათხოვთ მიცნობდეთ, ჩემო მტერ-მოყვარენო.

დავბრუნდი სამშობლოში ჩემ სახლიაკებთან ერთად. დედლები ჯერ კიდევ თბილ ქვეყანაში იყვნენ. ჩვენ, მამლები, აღრე ვბრუნდებით გაზაფხულზე კარ-მიდამოს დასათვალიერებლად.

ჩამოვჯექ ჩვენის ასკლის ბუჩქზე, პატარა ნაკადულის ნაპირად, და მოწყენილი ვიყავი მარტოხელობით. ვიმედოვნებდი, აი, საცაა მოფრინდება ჩემი ცოლიცა-მეთქი და თან შიშის ქარები მიდგებოდა მუხლებში, ვაი თუ ჩემი კეკლუცი საყვარელი გადიბიროს ვინმემა-მეთქი.

ჯვარის წერის დროს ბევრი მოქიშვე მყავდა და, ვინ იცის, სანამ აქ მოაღწევდეს, სხვა უბნის მამალმა მოკოროს ჩემის სიკვდილის ამბავი მოგზაურობის დროს და ამ ნაირად დამაშოროს ჩემს მეუღლეს. ამ დარდით შეწუხებულმა მოვრთე გალობა. მრავალ-გვარ ჰანგებზე მოვმართე ჩემი ჩანგი და ტკბილ კრიმანქულებში ჩავაქსოვე ძლიერი გრძობა ჩემის სიყვარულისა.

მოვიგონე ჩვენი სიამოვნებით სავსე ცოლ-ქმრობა, ერთ-მანერთის სიყვარულ-აღერსში გატარებული დრო, ტკბილი ოცნება შვილების ყოლისა, რომელმაც უფრო მეტად უნდა დაგვაახლოვოს ერთმანერთს. გამახსენდა, როგორ ვნაღვლობდი საყვარელ სამშობლოს უცხო ქვეყანაში, რა ნაირ სცვლიდა იქ კირი და სევდა სიამტკბილობას და ყოველივე ესე ერთის ჰარმონიით გამოვხატე, ხან ლხენით, ხან მწუხარებით ავაკენეს-ავაქიკიკე ჩემი ჩანგი.

რაც უფრო მეტსა ვგალობდი, მით უფრო მატულობდა ჩემი შემოკმედობითი ძალა. ხმას ხმასთან ვათანხმებდი, მუხლს მუხლზე ვაბამდი და ჰარმონია თან-და-თან ხმა-ტკბილდებოდა. გამოჩენილი მგალობელი, მგოსანთ-მგოსანი მამა-ჩემი ჩემის ბუჩქის შორი-ახლოს იჯდა და ისიც უგალობთა თავის საყვარელ ცოლსა, ჩემს ძვირფას დედას.



ერთხელ შევნიშნე — მამა-ჩემი მიყუჩებულიყო *შევეცხრათ* ვიფიქრე, ავად არ იყოს-მეთქი, მიუახლოვდი *შევეცხრათ* დაუწყე. იამა მოხუცებულს შვილის თანაგრძნობა და დაბალის, მაგრამ მომხიბლავის ხმით მიამბო თვისი გულის ნადები, რომელშიაც გამოჰხატა თავისი დაუსრულებელი სიხარული, ვმადლობ ჩემ წილ ღმერთსა, რომ ჩემი შესანიშნავი ხელობა უფრო გაგიშვენიერებიაო.

— იცოდე, შვილო, ქვეყანას ხარბი თვალი აქვს. რამდენი წელიწადია, რაც ჩემს ნიქს ვაეარჯიშებ, ქვეყანას ვემსახურები ორნაირად, ადამიანისათვის მავნე კია-ლუებსაცა ვსპობ და ყურთა-სმენსაც უტკობ; ყურთა-სმენის დატკობა-კი ამაღლებს ადამიანის კკუა-გონებას, აქარწყლებს მის კირ-ბოროტსა და ყოველგვარ მის მწუხარებას ამსუბუქებს, გრძნობას ასპეტაკებს, მშვენიერებისადმი მისწრაფებას აღვიძებს, მოძმის კირსა და ვარამს აზიარებინებს, კეთილშობილურ გრძნობას უნერგავს გულში, საგმირო საქმისათვის იწვევს და სხვა და სხვა. ვინ ჩამოთვლის ჩემს ნაშრომ-ნაპირნახულევს? და მერე რა? იმდენი სიცოცხლე შენ მოგცეს ღმერთმა, რამდენიც უსამართლოდ გაულანძღვივართ და გული დაუდაგავთ ათასგვარის შეურაცხყოფით! ვინ ბუდე ჩამომიშალა, ვინ ბარტყები მომტაცა, ვინ საცოდავ ჩემ პირველ კოლს ქვით თავი გაუტეხა!...

მაგრამ გულს ნუ გაიტეხ, როცა შენც აგრე მოგეპყრან. შენ შენს გზაზე იარე და, ბურთსაც რომ ლელოზე გადაისვრი, მაშინ დარწმუნდები, რომ შენი ხელობა შენვე დაგატკობს და, ასში ერთი ნამდვილი დამფასებელიც რომ გამოგიჩნდეს, — შენს გამჩენს მადლობა შესწირე.

— არა, მამილო, — მიუგე შე, — ჩემი სიცოცხლე და ხელობა, რასაკვირველია, ჩემ სამშობლოს საკეთილდღეოდ უნდა ვიგულო, მაგრამ არა იმისთვის, რომ სხვებმა მომიზღონ სამაგიერო, არამედ მისთვის და მხოლოდ მისთვის, რომ ჩემი მოვალეობა შევასრულო და ჩემს სამშობლოს ის ვალი

გადაუხადო, რაც დამდო ჩემის გაჩენითა და გაზრდა-გაფორ-
ჩქენით. ეს ერთი და მეორეც ისა, რომ ჩემი ხელობა მთლი-
თონ მე მებალისება, მატკობს და მახარებს, კირ-ვარაშს მა-
თმენინებს და ჩემი ჯილდოც ეს არის.

— არა, შეილო, არც ისეთია ცხოვრება, როგორც შე-
ნა ჰფიქრობ. ცხოვრება თვითონ დაგარწმუნებს, ბუნებას ისე
შეუქმნივართ, რომ თანაგრძნობას ვეძებთ და, უნდა იცო-
დე, თანაგრძნობა აორკეცებს ლხინსა და ამსუბუქებს კირსა.
აბა, შენ თითონ იფიქრე, რა გუნებაზე იქნებოდი ახლა, მარ-
ტოდ-მარტო რომ გაჩენილიყავ აქ, თუნდა შენ საყვარელ
სამშობლოშია-კი? რა იქნება, რად ეღირება შენი ხმა-ტკბი-
ლი გალობა—თუ მსმენელი არ გეყოლება?..

სულ ცოტა ხანში თავის მუხლ-მუხლზე გადაშულ კრი-
მანქულებში მამა ჩემმა ბევრი რამ საგულისხმიერო მიაშპო,
შეიფთხბრიალა და გაფრინდა.

მეც ჩემ ბუჩქს მივაშურე და მოვრთე გალობა. დღეს
ვალამებდი და ღამეს ვათენებდი ვარჯიშობა-გალობაში. უეც-
რად ნაცნობი „ტია-ტია“ შემომესმა. გავიხედე და ჩემი მე-
უღლე-კი მოეშურებოდა ჩემკენ.

ისემც თქვენ გაიხარეთ, როგორც მე მისი დანახვა გა-
მეხარდა!

მივესალმეთ ერთმანერთს თუ არა, გავიხედეთ და ერთი
შორიახლოს მჯდომარე ბუღბუღი ამოგვეტუზა გვერდით და
მოჰყვა გალობას. მეცა და ჩემი ცოლიც იმ წამსვე მიუხე-
დით განზრახვას და ვეცით მე და ის ერთმანერთსა. ერთს ის
ჩამკორტნიდა, ორჯელ მე ჩავკორტნიდი. აქ ჩემი ცოლიც
მიხვდა, რომ გამარჯვება ჩემკენ იყო, ადგა და მომეშეელა.
ის იყო და ის! შერცხვენილი მოქიშვე ჩუმიად გაიპარა: „რო-
გორც მოხვალ სვინაო, ისე წახვალ შინაო.“ მას შემდეგ ჩემის
ოჯახის ბედნიერებას არავინ შეჰხებია ჩემი მეგვარეთაგანი.

დიად, დავრჩით ერთმანეთის ერთგულნი და ერთსულნი,
ვატარებდით დროს ერთმანერთის აღერსსა და სიყვარულში.



სალიამოს ეამსა და განთიადისას განსაკუთრებით ღმერთს უგალობდი. იმის სმენას ვატკობდი იმ სიამოვნებისათვის, რომელსაც ის მე მანიჭებდა თავის ერთგულობითა და სიყვარულით.

ამასობაში ჩემს მეუღლეს კვერცხის დადების დროც მოუახლოვდა.

მოვკრიბეთ საჩქაროდ ფიჩხის ნატეხები, ფოთლები, ცხენის ძუა და სხვა ამგვარი რამეები და მოვრთეთ ჩვენს ბუჩქში ბუდე. ჩაჯდა შიგ ჩემი ცოლი და ოთხი კვერცხი დასდო.

ამ დროს მე შორიხლოს ტოტზე ვიჯექი და ვგალობდი ჩემის მეუღლის გასართობად და დასატკობად. ისიც უნდა გიამბოთ, რომ ჩვენი ცოლები, თუმცა თითონ არ გალობენ, მაგრამ ჩვენი გალობა ძალიან კარგად ესმით და საუკეთესო დამფასებელნიც არიან. ამიტომაც არის, რომ ჩვენ დედალ ბულბულის მოსახიბლავად გალობას ვხმარობთ უმთავრესად და შემდეგ ძალასაც, რომ საცოლო სხვამ არ წაგვართვას. იმ დღეს ჩემი ცოლი მეუბნებოდა:—სხვებს რომ 20 მუხლი აქვს გალობაში, შენ 24 გაქვსო და მამა შენსაც ამდენივე აქვსო, მაგრამ შენის გალობის შესანიშნავი თვისება ის არისო, რომ ამ 24 მუხლს კი არ იმეორებ მუდამ სხვებივით, არამედ სულ ასხვაფერებ, ათასნაირად აფერადებო. მაგალითად, შენ რომ გახარებული ხარ, ან ნასიამოვნები, კარგ გუნებაზე, ისეთ ხმებსა ჰქმნი, რომელიც არც ერთისაგან არა მსმენია და ეს არის უმაღლესი თვისება შემოკმედების გამოჩენილ მგოსანთათვისაო.

მე, მართალი გითხრათ, არც-კი შემიძლია დღეს გავიმეორო ის, რაც გუშინა ვსთქვი და არც მე მომწონს ჩემი გალობა, თუ ერთგვარია. როცა გუნებაზე ვარ, ძალაც მეტი მაქვს და გამოთქმაც უკეთესი, თუ არა და—არა.

სულ 15 დღეში გამოვჩიკეთ ბარტყები. გამოვჩიკეთ მეტქი, იმიტომ მოვახსენებთ, რომ ხანდახან მეც ვიჯექი კვერცხებზედა, როცა ჩემი ცოლი პურის საკმელად და სანაფარ-



დოდ გაფრინდებოდა ხოლმე. გამოიჩიკა 4 ტიტვეთა თელ ნისკარტიანი პირლია ბარტყი.

პირლია იმიტომ, რომ სულ საქმელს თხოულობდნენ.

თუ შე, თუ ჩემი ცოლი, რიგ-რიგით ვძებნიდით მატლებსა და კიებს და ვაპურებდით ჩვენს პაწაწინებს, რომელნიც თანდათან იზრდებოდნენ და ბუმბულ-ფრთებით იმოსებოდნენ.

— აი, ახლა შენი ჯერია, — მომმართა ჩემმა ცოლმა, — ახლა შეილების გაწვრთნას უნდა მიჰყო ხელი. ყოველი მუხლი შენის გალობისა განკერძოებით უნდა აუხსნა და შეასწავლო, რომ შენს საოცნებო ხელობას მიჰყონ ხელი და ნამდვილი მგოსნები შეიქმნენ.

— ახლა გალობის დრო აღარ არის, ჩემო კარგო! აგერ ნომავალ გაზაფხულზე, როცა ჩვენი კეკლუცი სამშობლო, ზამთრისაგან შებოქვილ-შებორკილი, ახალს ძალებს მოიკრებს, მონობისაგან თავს დააღწევს, ტურფად შეიმოსება თვალის წარმტაც სამოსელითა, ია-ვარდი აღყვავდება და მათი დამატრობელი სურნელება ჰაერის სუნთქვას გაგვიტკბილებს, როცა გაზაფხული, ეს ბუნების ქორწილი, პირველად ჩაუსახავს ჩვენს ნაშრომ-ნაამაგარ შთამომავლობას გულში სიყვარულის პირველ ნაპერწკალს, აი, მაშინ დადგება ჩემი ჯერიც გაზრდა-გაწვრთნისა.

ხომ იცი, ჩემო კარგო, და თუ არ იცი, უნდა იცოდე, რომ სილამაზისა და სიმშვენიერის გრძნობა მხოლოდ იმის გულში ჰღვივის, ვისაც სიყვარულის მომზიბლავი და ყოვლად შემძლებელი ძალა უგრძნია, განუცდია. ხოლო ვისაც სიყვარული არ განუცდია, იმისათვის არ სუფევს არც სილამაზე, არც სიმშვენიერე, არც უზენაესი გრძნობანი. ის მხოლოდ და მარტო კუკის მოტრფიალთა და სიძუნწის მკადაგებელი. ამიტომაც არის, ჩემო სულიყო, რომ ტანით მახინჯნი საქურისნი სულითაც მახინჯდებიან. ისინი არ სტკებებიან ამომავალ-ჩამამავალ მზისა და მთვარის შვენებით; ცქრილა, მო-



ციმციმე ვარსკვლავთ გუნდი არას ეუბნება მათს მსგავსებას გულს; გულწირბრტყი გალობა, თუნდ უდიდესის მგოსნისაც, არ ათბობს მათს გაციებულს სისხლს, არ აჩქარებს მათ მიდუნებულ გულისცემას.—ესეც რომ არ იყოს, დეე, პირველად თითონ გაიკვლიონ გზა-კვალი. მხოლოდ თავის ჭკუით შეძენილი და თავის შრომით შემოკრებილი საზრდოა ტკბილი და გემრიელი. ნაჩიჩინებ-ნაძალადევი უცხო სტუმარია, ის ვერ შეეისხლხორცება სხეულს და, როგორც მოსულა, ისე წავა.

ან როგორ უნდა გაჩნდეს და გაძლიერდეს შემოკმედობითი ძალა, თუ პირველადვე მგოსანი მიბაძვას მიჰყვება? „აბდა-უბდა გადასკუბდა“ ხომ მგოსნობა არ არის?—ესეც რომ არ იყოს, განა შემძლია სწავლა-ჩიჩინით მგოსნობის მინიკება? დეე, თვით ბუნებამ ჩაუნერგოს და ჩაუთესოს ის უზენაესი ნიკი და ძალა, რომლის უფალიც მარტო და მხოლოდ ის არის! ჩვენი ვალი დიად უნდა აფასრულოთ: ფეხზე დავაყენოთ, ხელი შეუწყოთ და ამის ხომ არც მე უარვყოფ?!.

ჩვენი ჭკუა-გონებისათვის მიუწოდომელი დრო ყოველად შემძლებელია: დღეს აღამებს და ღამეს ათენებს, კოკორს შლის და ვარდს აქნობს, ჩჩვილს აკაბუკებს და კაბუკს ახუცებს, სიკოცხლეს სიკვდილით აბოლოებს და სიკვდილით სიკოცხლესა ჰბადავს.

ჩვენი საყვარელი შვილებიც წამოიჩიტნენ, ბუდიდგან ამოფრინდენ და ჩვენი ბუჩქის ტოტებზე დასახლდნენ. ახლა საზრდოსაც თითონ ჰპოულობენ.

აგერ უფროსმა გალობაც დაიწყო, მამალია. სთხზავს საწყალი ნელ-ნელა, მაგრამ გულმოდგინედ. ერთ მუხლს რომ ვერ დასძლევს, მაინც თავს არ ანებებს, მაინც ვარჯიშობს. მუყაითობაც რომ ეტყობა,—ეს დიდის ნიჭის ნიშანია. ზოგიერთებს-კი ჰგონიათ (უგუნურები უნდა იყვნენ!), რომ დიდის ნიჭის პატრონს ვარჯიშობა და მუყაითობა არა სჭირიაო,—ეს მოკორებული გახლავთ. ზოგიერთებიც ჰფიქრობენ, დიდის



ნიკის პატრონი დაუფიქრებლად სთხზავს, თითქოს მგოსანს: „აღრე არ შეეშუ შევებიოს თავის ფიქრსა და გონებაში...“ ვეები, რომლებითაც ჰარმონიასა ჰქმნის, ამგვარად წარმოდგენა ხელოვნებისა, ჩემო მეგობრებო, მტკნარი უმეტრება გახლავთ. ყოველივე ნამოქმედარი შრომის ნაყოფია და უშრომლად, არა თუ დიდი ხელოვნური საქმე, არამედ მცირე, უმნიშვნელოც-კი არა კეთდება!...

მეორეც აქიტიკდა. ეს ყველაზე უმცროსია. ესეც სთხზავს, საბრალო, მაგრამ ჩქარობს, მუხლიდან მუხლზე ხტება და, ხომ გაგიგონიათ, „აჩქარებით ქალაქი არა შენდებაო“?!...

ესეც ერთი მომღერალთაგანი იქნება, მაგრამ... მგოსნობისა-კი რა მოგახსენათ?! ვერ ივარგებს, რადგან ჩქარობს, ეტყობა ერთბაშად უნდა სახელის მოხვევა უშრომლად და ეს კი დიდი ნაკლი და შეცდომაა. სწორედ ჩემს უკანასკნელ ჰანგებზე უნდა მოაწყოს თავისი ჩანგიც, მაგრამ ძალა არ შესწევს. ახლაც მიმბაძველობა ეტყობა, მუხლ-მუხლ ჩაკვირება-კი არა. თხზვასაც ისე ვერ ახერხებს, როგორც უფროსი.

ამას, ჩემო ბატონიშვილებო, ჰკუა და გამოცდილება შეუბნება, თორემ გული-კი იმედით სავსე მაქვს: ეგებ იპრიანოს ღმერთმა და ესეც ნამდვილი მგოსანი გამოდგეს, სმენისა და გრძნობის დამტკობი.

მე ჩემს ცდასა და შრომას არ დაგაკლებ არც ერთს, უგალობებ და გავაცნობ ჩემს ჰანგებს ამ ცოტა ხანში და დანარჩენი საგისოდ იყოს. პეტრე-პავლობამდე რასაც მოვასწრობ, ისაა, შერე გალობის თავი აღარ მექნება. ენკენისთვისათვის დიდი ძალ-ღონის მოპოებაა საჭირო თბილ ქვეყანაში გასამგზავრებლად და ამიტომაც უნდა კარგად ვსვათ და კარგად ვქაშოთ, გავსუქდეთ. ჩასუქებული მგოსანი-კი გალობას ვეღარ ეწყობა.

თუ მოთმინებას მიეცემით და, არა თუ არ შეგვიშლით, ჩვენო პატარა მტერ-მოყვარენო, არამედ კიდევაც მოგვიმართავთ ხელს, რომ ჩვენც თქვენთან ერთად დავსტკებთ ჩვე-

ნის საერთო საყვარელ სამშობლოს მშვენიერის ბუნებით, მაშინ თქვენც თქვენის ლამაზის თვალებით დაინახეთ მშვენიერი და ჩემის შვილების ცდასა და ბეჯითობას. ეგებ ჩვენი სიკაცხლე თქვენთვისაც სასარგებლო შეიქმნას ისე, როგორც ადრე ყოფილა!...

მხოლოდ სხვის იმედით ნურც თქვენ დარჩებით, თქვენც ეცადეთ და იმუშავეთ, რომ ქვეყნისთვის მეტ ბარგად არ გადაიქცეთ. ამინ და კირიელეისონ!

ივანელი





გაზაფხულის მოლოდინეუი

მზის ძალიან შავი ღრუბლები,
დასკრა, დაკუწა ცაზედა;
ჯილათ დაუშვა სხივები
დამზრალსა ქვეყანაზედა.

თოვლია დაიწყო გადნობა,
მინდვრად, ველზე და შთაზედა;
ხეცებმა შეჭქმნეს ღრიალი
დაკრილი ლომის ხმაზედა.

კლდიდან მომსკდარი მდინარე,
უველაფერს მუსრავს გზაზედა,—
სურს მთლად მორეცხოს სიბილწე,
გაკრული შავ მიწაზედა.



ეროვნული
ბიბლიოთეკა


მოჰქუხს ხევი და მდინარე,
თავს ევლებიან არესა;
გამხმარ ტოტს, დამჰალ პალახებს
უთხრიან ბნელ სამარესა,
რომ მიეგებოს რა ტურფას
გაზაფხულს მომცინარესა, —
არ აჩნდეს კვალი უგვანო
საყვარელ, კობტა მხარესა;

ამწვანდეს სუფთა მიწაზე
ბალახი ზავერდოვანი,
გადაექარგოს ვარდებით
გულ-მკერდი ველ-მინდვროვანი;
ბლჩქში ამღერდეს ბულბული,
ფთქრილა და ტკბილ-ხმოვანი.

ჰხარობდეს ყველა... ამკობდეს
ქება-დიდებით ზენასა,
რომ მან მოასწრო გაზაფხულს, —
ბუნების ჩანგის ეღერასა!..

დ. ელიოზიშვილი





უკუხი და თავისიანი

(იგავი)




ახლოსნოში ოქრომკედელი გულმოდგინედ უკუ-
კუნებდა ჩაქუჩს ოქროსა და ვერცხლს და სხვა
და სხვა ნივთები გამოჰყავდა თავის ნებაზე. ჩა-
ქუჩის თითოეულ დარტყმაზე ვერცხლი ნაზად
კვნესოდა, ოქროც თავის წკრიალა ხმით უფრო
სუსტად ოხრავდა... იქვე მახლობლად სამკედლოში რკინის
ზოდი კვერის რახა-რუხზე შესაზარის ხმით ყვიროდა, ღრია-
ლებდა და გამვლელ-გამომვლელს ყურებს უქედდა.

მეთვალყურე მიუბრუნდა რკინას და ჰკითხა:

— საკვირველია, ღმერთმანი: ყველა ლითონი ერთ ცე-
ცხლში იწვით, ქურაში დულხართ, ერთი და იგივე შავი
დღე გადგიათ, თავში ცემა გაქვთ, მაგრამ სუსტი და სათუ-
თი ოქრო-ვერცხლი ჩაქუჩის ცემაზე ჩუმად სტირიან, ჩუ-
მად კვნესიან, შენ კი—იმათზე მძლავრი, ტლანკი და მა-
გარი ხარ, რკინა ხარ და იმავე ჩაქუჩის ცემაზე ისეთი ხმათა
ღრიალებ, თითქო იმათზე მეტ ტკივილსა და განსაცდელსა
გრძნობდე.

— რომ იცოდე, სწორედ ასეა და მართლაც შეგინდნენ—
 ნავს,—მიუგო რკინამ:—ოქრო-ვერცხლზე გათლიებული
 ტკვილისა და მწუხარებას განვიცდი, იმიტომ, რომ იმათ უცხო
 სცემს და მე კი ჩემიანი: მე ჩემივე ძმა,—რკინის კვერი,—მცემს,
 მტანჯავს, მაწვალებს და იმიტომაც არის ეს ცემა ჩემთვის
 უფრო მწვავე და საგრძნობელიო.

თეო კანდელაკი





ესკიმოსის დედაკაცი

მოთხრობა მარკოზ სონაესა

(ფრანგულით*)



სლანდიისაკენ მიმავალ მეთევზის ყვითელ იალკნებიან დიდ ბარქასზე ორი ბრეტონელი შეგირდი—მეზღვაური იყო, ეანეკი და პიერიკი.

ბარქასი ჯერ ისევ ისლანდიის ჩრდილო მხარეს დასკურავდა; რომ უცბად საშინლად აცივდა. ჩრდილოეთიდან დაიძრა ყინულის უზარმაზარი კუნძულის მსგავსი თოშები, რომელსაც ტალღა თავის ნებაზე დააცურებდა.

— ეს არაფერია, — სთქვა ბარქასის პატრონმა, — ზამთარი ჯერ კიდევ არ დამდგარა, მაგრამ შაინც ფრთხილად ვიყოთ, რადგან, თუ ზღვა შეიკრა, აქ მოვემწყვდევით.

*) დიდს მადლობას მოვახსენებ ბ-ნ ვლ. დ—ლს, რომელმაც დიდი დახმარება გამოწია ფრანგულის ცოდნით ამ თარგმანის დროს. შთარჯ.



ბარქასმა მიაშურა იმ პატარა კუნძულის სრულტეს, რომელიც ესკიმოსებით იყო დასახლებული. აქ უნდა გავიგებოდით ღუზა და ელოდნათ, ვიდრე კარგი ამინდი არ დადგებოდა, მაგრამ იმედი არ გაუმართლდათ, სიცივემ უფრო უმატა. ნაპირების გაყოლება ყინულის ნატეხები ერთმანეთს შეუერთდა და ყინულთა უზარმარი ბოგირი გაკეთდა. ამას მოჰყვა თოვლის ბარდნა სწორედ ისე, როგორც ზამთარში იცის.

ერთ ღამეს პიერიკს უეცრად გამოეღვიძა. ისე მოეჩვენა, თითქო რაღაც შორეულმა ხმამ დაარღვია მდუმარება. წამოდგა და აღელვებულმა ყური დაუგდო. წუხილის ხმა იყო და თან-და-თან უფრო მკაფიოდ ისმოდა. კაცს ეგონებოდა, თავს დასხმიან ვისმე და სასოწარკვეთილი შველას თხოულობსო.

— ეანეკ, — უთხრა ჩურჩულით პიერიკმა თავის ამხანაგს, რომელსაც ორივე ხელები მოეკუმშა და ტკბილად ეძინა, — ეანეკ, გაიგონე?...

შეგირდმა-მეზღვარმა გამოიღვიძა და ყური დაუგდო.

— რა უნდა იყოს? — წაიჩურჩულა ეანეკმა.

ღუმილის წამმა განვლო. ორმავე ბავშვმა მწუხარებით გადაჰხედეს ერთმანეთს. გულსაკლავი ხმა ისევ მოისმა, მხოლოდ უფრო ყრუდ. პიერიკი საწოლ ბადიდან გადმოხტა, ბარქასის პაწაწა სარკმელთან მივიდა და გარედ გაიხედა. თვალ-წინ გადაეშალა მხოლოდ, თეთრი თვალ-უწვდენელი სივრცე.

აღარა თოვდა. ცაზე ვარსკვლავებს გაჰქონდათ კაშკაში.

— ეს ხმა, მგონია, ზღვიდან მოდის, — უთხრა ამხანაგს.

— უეჭველია, ადამიანი უნდა იყოს; ალბად ფეხ-ქვეშ ყინული გაერღვა, — უპასუხა ეანეკმა.

— არ შეიძლებაოდა წაესულიყავით და გვენახა? იქნება დაგვეხსნა ერთის ადამიანის სიცოცხლე!

— რატომ არა! წამო, წავიდეთ!

და ორმა შეგირდმა-მეზღვარმა თბილი, საზამთრო ქურ-



ქები ჩაიცივეს, აიღეს ხელში ფანარი, ცული, თოკები და მანქანა და
ავიდნენ.

ლამე მართლაც მშვენიერი იყო. სიცივეს უცებ ყუჩი
მოტყდა, თბილი ნიავი ქიქინებდა ჰაერში.

— სად მიდიხართ, შეგირდებო?— დაუყვირა მორიგმა მე-
ზღვაურმა.

— ივონ, შენ კი არ გაგიგონია, რალაც ყვირილი რომ
იყო?!

— როგორ არა... მაგრამ არ მინდოდა ამხანაგები გა-
მელვიძებინა ვილაც ოხერ ესკიმოსის გულისათვის; ექვი არ
არის, წყალში იხრჩობა.

— რა უყოთ, რომ ესკიმოსია!— მიუგო აღშფოთებულ-
მა პიერიკმა.— ისიც ხომ აღამიანია! მოვალენი ვართ, მივე-
შველოთ მოძმეს.

— ეჰ, თუ გესიამოვნებათ, თქვენ წადით, მე კი აღგი-
ლიდანაც არ დავიძვრი და!

ივონმა დაცინვითა და თან ზვიადის ამყობით ჩაიქნია
ხელი.

შეგირდები მტკიცე გარდაწყვეტილებით გადავიდნენ ბა-
ქნიდან და ყინულზე გაჩნდნენ. სქელი თოვლი რბილ ხალი-
ჩასავით გადაჰფენოდა ყინულს. მუხლამდე თოვლში ეფლო-
ბოდნენ ბავშვები.

— საით წავიდეთ?— ჰკითხა ამხანაგს ეანეკმა.

— აი, იქით.— მიუგო პიერიკმა და ხელი გაიშვირა ჩრდი-
ლო-დასავლეთისაკენ, — დარწმუნებული ვარ სწორედ იქიდან
მოისმა ყვირილი და კენესა. აბა, ყური დაუგდე, თუ გინდა...

მართლაც, კვლავ გაისმა სასოწარკვეთილი ხმა, მაგრამ
ახლა კიდევ უფრო გაურკვეველათა და ყრუდ. ეს ხმა ბავ-
შვის კენესას უფრო ჰგავდა.

— გავეჩქაროთ!— დაიძახა ეანეკმა.— პიერიკო, შენა ხარ
ბელადი; გასწი შენ წინა და მე უკან მოგყვები...

შეგირდები მიდიოდნენ ამ უდროო დროს მამაცურადა
და შედგრაღ და არ-კი იცოდნენ, საით. მიდიოდნენ უშიშ-



რად და ვაჟაკურად, გამსკვალულნი მხოლოდ ვერის სტრუქტურით—დაპხმარებოდნენ იმ არსებას, რომელიც შევლას ითხოვდა. და რამდენადაც წინ მიდიოდნენ, იმდენად უფრო ძნელად სავალი იყო გზა, უფრო ღრმა იყო და საფლობი თოვლით დაფარული არე-მარე.

ხმა კი უფრო ახლოვდებოდა და უფრო ღრმა მწუხარება იხატებოდა ამ ხმაში. ახლა ხმა-კი არა, საზარელი ღრიალი ისმოდა შიშით თავზარდაცემულ ბავშვისა.

— აი იქიდან ისმის, აი იქიდან, — სთქვა პიერიკმა და ხელი გაიშვირა ყინულის პატარა გორაკისაკენ.

ორივემ გაბედვით გასწიეს წინ. როცა გორაკის თავზედ ავიდნენ, ფეხი ველარ გადასდგეს შიშითა. მათ წინ დადიოდა უზარ-მაზარი თეთრი დათვი, თავს აქეთ-იქით აქანებდა და საშინელის თვალების ბრიალით უბღვეროდა ადამიანს, რომელიც ნახევრად თოვლში იყო ჩაფლული და, შიშით თავზარ დაცემული, გულში ბავშვს იკრავდა.

პიერიკმა და ჟანეკმა უკან დაიხიეს. მაგრამ დათვმა შენიშნა ისინი, მოიბრუნა უშველებელი თავი, თვალები შეაშტერა და თან განაგრძობდა თავის ქანაობას.

— შე ჩემი რევოლვერი მაქვს თანა, — წასჩურჩულა პიერიკმა ჟანეკს, — მაგრამ იქნება უკეთესი იყოს, სხვანიირად ჩამოვიშოროთ, თორემ, თუ ერთის სროლით არ დაეაწვინეთ, დავიღუპებით.

— რა ვქნათ? — იკითხა ჟანეკმა, მოდი, ვცადოთ, იქნება ჩვენის ფანრებით შევაშინოთ!

გადასწყვიტეს ასე მოქცევა და მიუმარჯვეს დათვს ფანრების სინათლე, თან დაუწყეს ფანრებს ქანაობა ისე, როგორც რკინის გზის მოსამსახურებმა იციან ხოლმე სადგურზე.

დათვს თვალი მოსკრა სინათლემ და, გაოცებულმა, უკან დაიხია. დათვი თვალებს აბრიალებდა და რეტ-დასხმულივით იტკირებოდა. შეგირდებმა წინ წაიწიეს და ამ გვარად ბრძო-



ლის ველის თითოეულ გოჯ ადგილს დიდის გაქირვებით არაფერი შევდნენ ნადირს, რომელიც, შეშინებული და სინათლის სიძველესთან ერთად შემკრთალი, უკან-უკან იხვედა.

— ჰხედავ? ჩემმა ხერხმა გასკრა, — სთქვა პიერიკმა.

მაგრამ ძალიან ადრე იყო პიერიკისაგან ამისი თქმა. პიერიკს სწორედ ამ დროს ფეხი გაუსხლტდა, დაეცა ძირს და თან ეანეკიც გადაიყოლია.

ამ სანახაობაზე დათვი შესდგა. მერე ნელ-ნელა მიუახლოვდა შეგირდებს, რომელთაც ეგონათ, ეს არის დავილუპეთო და, შიშით თვალეხ დაქყეტილნი ერთმანერთს ეკვრებოდნენ. დადგა საშინელი წუთი განსაცდელისა. ადგომა და გაქცევა აღარ შეიძლებოდა; უნდა დაჰმორჩილებოდნენ ბედს; დათვი-კი თან-და-თან უფრო უახლოვდებოდა.

შეგირდებმა თვალეხი დახუკეს და გაშეშებული ელოდნენ სიკვდილს.

მალე იგრძნეს, რომ რაღაც თბილმა ორთქლმა გადაუარა ორივეს სახეზე; დათვი წასდგომოდათ თავს და იმისი სუნთქვა ელამუნებოდა შეგირდების სახეს. შეშინებული ყმაწვილები სულის მობრუნებას ველარ ჰხედავდნენ, პირმოკუმულები მხოლოდ ერთს-ღა ჰფიქრობდნენ — ეს არის, დადგა ჩვენის აღსასრულის დღეო...

მაგრამ დათვი ყურადღებას არ აქცევდა ბიჭებს. იმის ფიქრი და გონება დაატყვევა ანთებულმა ფანრებმა, რომლებიც, თუმცა გადაბრუნებული იყო, მაინც ძლიერ აშინებდა ამ უზარმარ პირუტყვს.

დათვის უნდოდა თათით გაეჭრო ფანრები, მაგრამ გაუცრუვდა იმედი, რადგან ფანრებს შუშები მაგარი ჰქონდა და თათით მათი დამტვრევა ვერ მოახერხა.

დათვმა ახლა სხვა ხერხს მიმართა: თოვლში გააგორა ფანრები, ერთხან ეღლაბუცა, მაგრამ რაკი მაინც ვერა დააკლო-რა, იმედ გადაწყვეტილი გაჩერდა. ერთს წუთს კიდევ მიაჩერდა სინათლეს, შემდეგ მტკიცე გადაწყვეტილებით



დაავლო ერთ ფანარს კბილები და წაძუნძულდა ფევეტუქინდო
ობით.

შეშისაგან თავზარ დაცემული შეგირდები თვალს აღევ-
ნებდნენ იმის მოქმედებას. როცა დათვი წასული დაინახეს,
სიხარულის ხმა აღმოხდათ გულიდან.

— გადავრჩით! — წამოიძახა პიერიკმა.

ორივე შეგირდი ბავშვისაკენ გაჰქანდა. ტირილით და-
ქანცულ ბავშვს ნახევრად თოვლში ჩაფლულ დედის მკერდ-
ზე მიეყრდნო თავი და ჩასძინებოდა.

— ეს პატარა ბავშვი ესკიმოსის გოგონაა, — სთქვა პი-
ერიკმა და დააშტერდა ბავშვსა.

— ესეც უთუოდ ამისი დედა უნდა იქოს, — სთქვა ეა-
ნეკმა, დაიჩოქა, მოაშორა თოვლი, რომელშიაც იყო ჩაფლუ-
ლი და გამოჩნდა ფერ-დაკარგული, კრიკა-შეკრული დედა-
კაცი.

— იქნება მკვდარიც არის ეს ადამიანი! — წაიჩურჩულა
პიერიკმა მდაბალის ხმით.

ეანეკმა მკერდზე თავი დაადო ქალსა და ყური დაუგდო.

— სუნთქავს! სიცივისაგან არის გათოშილი, უნდა ჩქა-
რა გადავიტანოთ ნაპირას, — სთქვა მან და ზეზე წამოდგა.

— ჯერ თოვლით დავზილოთ, — უთხრა პიერიკმა, — ეს
მგონია საუკეთესო ღონეა გაყინულ ადამიანის გასათბობად.

შეგირდები შეუდგნენ თავის მოვალეობას, საბრალოსა
და სიცივით გათოშულ დედაკაცის სასიცოცხლოდ მობრუ-
ნებას. მის პაწაწა, ქორთვა ბავშვს უკვე გამოჰღვიძებოდა და
გაოცებულის თვალეებით შეკყურებდა უცხო ყმაწვილ კა-
ცებს. ერთს წუთს შემდეგ ქალმა სუნთქვას მოუხშირა, გაა-
ხილა თვალეები და რამდენიმე გაუგებარი სიტყვა წარმო-
სთქვა.

პატარა ქალი ყელზე შემოეხვია დედას და გატაცებით
დაუწყო კოცნა.

— გადარჩა სიკვდილს, — დაიძახა ეანეკმა.



— დაებრუნდეთ ახლა უკან და ვიფიქროთ რამე კონკრეტული ცოდავებისათვის.

შეგირდები წავიდნენ.

განთიადი მოტანებული იყო. ცა ვარდის ფრად იღებებოდა, დიდრონი ფრინველები სხვა და სხვა მხრისკენ მიისწრაფვოდნენ და მზიარული ჭრიამული გაჰქონდათ. ჰაერში უცბად სითბო დატრიალდა.

— ლელმა დაიწყო, ყინული ღზვება სასწრაფოდ, — სთქვა ჟანეკმა.

იმათს შიშს საზღვარი არა ჰქონდა, როცა თვალწინ წარმოუდგათ, რომ ყინულის უშველებელი გორა ზედ გზაზედ იყო გადაღობილი. ათას ნაწილად დაბზარული ყინული წყლის ზედა პირზე დატივტივებდა. ზღვა ხელ-ახლად თავისუფლდებოდა.

— ჟანეკ, — წამოიძახა პიერიკმა, — ყინულის ბოგირი, რომელიც ამ ყინულის გორაკს სხვა გორაკებს უერთებდა, ჩატეხილა. უკან დასაბრუნებელი გზა მოქრილი გვაქვს.

— გვერდი აუაროთ მაგ გორას, — მიუგო ჟანეკმა.

გაჰყვნენ უფსკრულს, მაგრამ, შემდეგ ერთის საათის სიარულისა, შეჰნიშნეს, რომ იქვე დაბრუნდნენ, საიდანაც წავიდნენ. ისინი იყვნენ ამ ჟამად იმ ყინულის კუნძულზე, იმ ყინულის დიდს მთაზე, რომელიც დიდ ლელმას მოეშორებინა ყინულის სხვა, უფრო წვრილ ნაჭრებისაგან და სრულიად განეცალკევებინა.

შეგირდი-მეზღვაურები იდგნენ ყინულის უზარ-მაზარ ნაჩეხზედ, რომელიც ზღვას გადაჰფარებოდა ზემოდან. შეგირდები შიშით, და ძრწოლით ჰხედავდნენ, როგორ იცვლებოდა თოვლით დაფარული ყინული წყლად და, თოვლიან სივრცის მაგიერ, როგორ იშლებოდა მათ თვალ-წინ სივრცე ზღვისა მზის სითბოს გავლენით.

— რა მოგველის? — წაილულულა პიერიკმა.

— მომწყვდელნი ვართ!.. — ამოიკვნესა ჟანეკმა.



შეგირდები ჩაფიქრდნენ. ცურვით ნაპირად წავსვლა... ამისი ფიქრიც კი არ შეიძლებოდა!.. განა შეეძლოთ მიეტოვებინათ უბედური დედაკაცი, რომელიც ის-ის იყო სიკვდილს გადაარჩინეს და მოასულიერეს?! ეს ხომ კვლავ სასიკვდილოდ გაწირვა იქნებოდა მისიცა და მის პატარა ქალისაც.

რალაც შეინჯლრა ძლიერ და კინალამ წაიქცნენ შეგირდები. ყინულის კუნძული წყალთა შეუმჩნეველ დენას იდგილიდან დაეძრა და ახლა ზღვაზე მოსცურავდა. მოსცურავდა, როგორც გემი, და მალლიდან ქვემოდ სისწრაფით დაქანებული მოდიოდა.

— შენ რას ფიქრობ? — შეეკითხა უცბად პიერიკი ეანექს. — უნდა გადავწყვიტოთ რაშე და უცადოთ პაერის შეცვლას. ისევ ესკიმოსის დედაკაცთან დავბრუნდეთ.

პატარა მეზღვაურებს დედაკაცი სრულიად მობრუნებული დაუხვდათ. დედაკაცი იჯდა თავისთვის, პატარა ქალი-კი ყელზე მოჰხვეოდა და ჰკოცნიდა.

დედაკაცმა ხელით ანიშნა შეგირდებს, მშინაო.

— შიან! — წამოიძახა ეანექმა, — რა უნდა ვაქამოთ?

ყმაწვილებმა ჯიბე-უბე გაისინჯეს. იპოვეს მხოლოდ ორი ნატეხი ბისკვიტი.

— ბევრი არაფერია, რას გაუხდება, — სთქვა დალონებულმა პიერიკმა, — მაგრამ, რაც არის, არის, მიეცი ამ უბედურ დედაკაცს და ჩვენ-კი წავიდეთ და ჩვენს კუნძულს შემოუაროთ.

შუა გული ყინულთა ბოგირისა შესდგებოდა ყინულის სამის გორაკისაგან, რომელსაც ორი ვიწრო ვაკე ჰყოფდა. შეგირდებმა დაათვალიერეს იქაურობა და უცებ სიხარულით აღივსნენ: დაინახეს ნახევარ ბარქასი, რომელიც ყელამდე ყინულში იყო ჩაქედილი.

— აი, შეშა შინცა გვაქვს ცეცხლის ასანთებად, — წამოიძახა ეანექმა.

მიიტანეს ესკიმოსის დედაკაცთან რამდენიმე ნატეხი,

წერილად დასჩებეს, ბედზედ ფარანში სანათი ისევ ენფორცდებოდა
ცეცხლი გააჩაღეს.

ახლა შესაწვავი ხორცი-ლა გვაკლია, — სტქვა პიერიკმა, რომელიც ძღვევა-მოსილის კაცის სახით შეტყურებდა ცეცხლის აღს.

ეს სიტყვა ჯერ კიდევ არ დაესრულებინა პიერიკს, რომ უცებ რაღაც საზარელი ხმა მოისმა ბლუილისა. მიიხედეს უკან და კვლავ დათვი აეტუხა წინ ბავშვებს.

ფანარი სადღაც მიეტოვებინა და, რაკი იმსაც გზა მოკრილი ჰქონდა, დახეტილობდა კუნძულზე და საკმელს ეძებდა. დათვის დანახვაზედ პატარა გოგონა დედას მიეკრა და, შეშინებულმა, ღრიალი მორთო.

— ეს საშინელებაა! რა უნდა უყოთ ამისთანა მეზობელს? — წასსურჩიულა ეანექმა პიერიკს.

— რა უნდა უყოთ და უნდა შევექამოთ! — მიუგო პიერიკმა.

— მერე რა ნაირად?

— გამიგონე, აგერა მაქვს რევოლვერი... შენ ცული გაქვს... ეს საკმაოა, აბა, ჰნახავ!

პიერიკმა ბეჯითის გადაწყვეტილებით გასწია დათვისაკენ; ხელში რევოლვერი ეჭირა, ეანექს-კი ცული დაებლუჯა და უკან მისდევდა პიერიკს.

ამათ დანახვაზე დათვი მიხვდა, რომ სამკედრო-სასიციო-ცხოლო ომს უცხადებდნენ, გასწორდა, პირდაპირ აიმართა, საშინლად დაიღრილა და საზარელი კბილები გამოაჩინა.

პიერიკი თოვლზედ გაწვა, გაინაბა, მაგრამ თვალს-კი არ აშორებდა დათვსა.

დათვმა რომ თავისი მტერი ასე მოულოდნელად წაქცეული დაინახა, იფიქრა, მოკვდაო და გამარჯვებულის სახით გასწია წინ, მივიდა და დაჰყნოსა. შეგირდსაც ეს უნდოდა: სრულის გულდამშვიდებით მოითმინა მანამდე, ვიდრე დათვი მიუახლოვდებოდა, თითქმის შეეხებოდა და მაშინ-კი უცხად



მოიმართა და პირდაპირ გულში დაახალა. რვეულსა და ნეკიც ეცა და საშინლად დასცხო და დასცხო ცული.

დათვი იქვე გაგორდა უსულოდ.

— გავიმარჯვეთ! — შეპყვირეს შეგირდებმა. ასო-ასო აქნეს დათვი, დასკრეს მოგრძო ნაქრებად, მიუფიცხეს ცეცხლს, შესწვეს და შემდეგ გახარებულებმა ოთხივემ ძალიან მადიანად ისადილეს.

სიხარულის ქრიამულმა ზეზე წამოახტუნა ისინი. ზღვისკენ გაიხედეს და დაინახეს ბარქასი, რომელიც მათკენ მოდიოდა. ალტაცებით დაიწყეს ქულების ქნევა და განუწყვეტელი „ვაშა“-ს ძახილი. ბარქასში მსხდომნი პიერიკისა და ეანეკის ამხანაგები იყვნენ, ამით საძებრად წამოსულიყვნენ და, აი, იპოვეს კიდევცა.

— გადავრჩით, გადავრჩით! — წამოიძახა ეანეკმა, — კიდევ ველირსებით ჩვენის ქვეყნის ხილვას!

— გაუმარჯოს მზეს! — სიხარულით დაიძახა პიერიკმა და უცბად, თითქოს რაღაც მოაგონდაო, დანარჩენი შეშაც ერთიანად შეუკეთა ცეცხლს და დათვის მთელის ფეშხოს შეწვას შეუდგა.

— სადილი უნდა მოუმზადო სასახელო სტუმრებს, — სთქვა პიერიკმა.

ამისობაში მებღავაურებიც მივიდნენ ჩვენ ახალგაზრდებთან. ყველანი სიხარულით გადაეხვივნენ შეგირდებს, ბარქასის პატრონმა-კი ლმობიერის კილოთი უსაყვედურა შეგირდებს, მარტო რად წამოხვედითო.

— აი, ამ ესკიმოსის დედაკაცისა და იმის ბავშვის გადასარჩენად წამოვედით, — სთქვა ეანეკმა.

— არ შეგვეძლო ეს უბედურები სიკვდილისაგან არ დაგვეხსნა, — დასძინა პიერიკმა.

— ყოჩაღი ბიკები ხართ, ყოჩაღი, მე და ჩემმა ღმერთმა, — წამოიძახა გულ-აჩუყებულმა პატრონმა.

— ახლა-კი სუფრაზედ მობრძანდით, უფროსო, სადილი




მზად გახლავთ!—გულიანის სიცილ-ხარხარით მიიწვიეს მშვენიერი
ბარებმა უფროსი.

აქ შეგირდებმა უამბეს თავიანთი თავგადასავალი, მერე
ყველანი გაემართნენ პატარა გემისკენ, რომელიც ერთ პა-
ტარა კუნძულის სრუტეში იდგა და ოდნავ ირწვოდა ყვი-
თელ იალქან აფრიალებული.

რაც შეეხება ესკიმოსის დედაკაცს, იგი გულითადის აღ-
ტაცებით მიიღეს სოფელში. ყველამ მოისურვა, პატივისცემის
ნიშნად, წვეულება და ნადიმი გაემართა მამაც შეგირდები-
სათვის, რომელთაც საბრალო დედაკაცი და იმისი გოგონა
სიკვდილს გადაარჩინეს.

გამართეს მეჯლისი. ესკიმოსებმა დათვებივით იცეკვეს;
შემდეგ სოფელმა პიერიკსა და ჟანეს მშვენიერი ბეწვიანი
ტყავები და ამასთანავე იშვიათ ცხოველთა კბილებისაგან ისბ-
მული ყელსაბამები მიუძღვნა საჩუქრად...

განდევილი





უკანასკნელი დღე

ადმისავლეთას თქმულება

(რუსულიდან)



ალიფა ჰარუნ ალ-რაშიდს გამოეღვიძა ერთ-
ხელ დილა ადრიან და თავის ერთგულ
ვეზირს ჯაფარს ნაღვლიანად შესჩივლა:

— ჯაფარ, წუბელის ძალიან ცუდად
მეძინა!.. მგონი, სიცხე უნოდა მქონდეს;
წადი, ჩემს ეჭიმს დამიძახე!

ეჭიმი მოვიდა.

ჰარუნმა ეჭიმს ხელი გაუწოდა და ჰკითხა:

— გაზაგებინე, ეჭიმბაშო, როგორა ვარ და რა არის
ჩემს თავს?

ეჭიმმა ხალიფას მაჯა გაუსინჯა და გრძელის წვერის
ცანცარით თავი გადააქნ-გადმოაქნია, თითქო პასუხის მიცე-
მა ვეღარ გაებედნა; მერე ხელი მოაშორა და უთხრა:

— მოიხსენე, მართლმორწმუნეთა მეფეო, შენის უღირ-
სის მონის პირით უტყუარი კეშმარიტება, რომლისათვისაც
თავსა ვსდებ: ალლაჰის ხელშია ჩვენი დღენი, როგორც ფუ-
ლი ვაქრის ქისაში, მუსიკოსის ხმა—სალამურში და მთესვე-
ლის ხელი—ხორბალში.

— ეიცო, მაგრამ რამდენი დღე დამრჩენია კიდევ ალლა-
ჰის მიერ ბოძებული? აი, რა მინდა გაევიგო!

ექიმმა პასუხის ნაცვლად თავი მძიმედ დაუკრა, ესეც რომ მისმა შუბლმა რაკუნის მოილო ხალ-დაგებულ იატაკზე.

— მეტყევი თუ არა? შეპყვირა ხალიფამ მოუთმენლად და ჭედს ხელი წამოავლო: რამდენის ხნის სიცოცხლე დამრჩენია კიდევ?

— მოახსენე, ექიმბაშო, მოახსენე სიმართლე და იცოდე, რამდენის წლითაც განსაზღვრავ ჩემის ბატონის სიცოცხლეს, იმდენ ოქროს მიიღებ მის მოწყალე ხელიდან! — ამხნეებდა ექიმს ჯაფარი.

— ასე, ოცის წლისა! წარმოსთქვა ექიმმა ამოოხვრით. — არა უმეტეს ოცის წლისა!

— კარგია, ვეყო!.. მე რომ კიდევ მაგდენ ხანს ვიცოცხლო, ღმერთს მადლობას შევსწირავდი!.. წადი, ახლა აღარ გვინდისარ! ბატონო ცოტა ხანს კიდევ მოისვენებს!

ექიმი წავიდა.

ხალიფამ ხელები თავ ქვეშ ამოიღო და თვალები მოხუჯა; მაგრამ ვერ დამშვიდდა: „ოცი წელაწადი!“ ფიქრობდა ხალიფა: „სრულიად საქმაოა, ვისაც კი შეუძლია, ეს ხანი სასიკეთოდ გამოიყენოს, მაგრამ ძალიან მცირეა, ვინც ცუდად გაატარებს! და რადგან ჩემი დღენი უკვე დათვლილია, არც ერთ დღეს ამის შემდეგ ამაოდ და სიბოროტეში აღარ ვავატარებ!..“

— ჯაფარ, ყური მიგდე: რას იზამდი, ერთის დღის მეტი სიცოცხლე რომ არ დაგრჩენოდა?

— ჯაფარმა ჯერ უსიამოვნოდ გადახედა ხალიფას, რადგან ხან და ხან უცნაური ფიქრები მოსდიოდა, მაგრამ მალე დაბლად თავის მოზრით მოახსენა:

— ღმერთს რომ ჩემთვის ერთის დღის მეტი სიცოცხლე არ მოეცა, ამ დღეს იმას მოვანდომებდი, მართლმორწმუნეთა მეფეო, რომ შენდა საქებ-სადიდებელ შესხმას დავსწერდი ძვირფას ეტრატზედ.

მეფეს ასეთი პასუხი დიდად იამა და ვეზირს უბრძანა: —



ჯაფარ, ხომ იცი, მიყვარხარ. წადი და სამი კაცი მომეყვანე: ვაკარი, მემუსიკე და გლეხი, რომლებიც პირველად შეგმეცნენ ქუჩაში.

ლოდინი დიდხანს არ მონდომებია: ჯაფარმა იმ წამსვე მიუყვანა სამი კაცი და წარუდგინა მეფეს:—აი, ბატონო ჩემო, ეს გახლავთ ვაკარი უსუფა, ეს—მემუსიკე საიდ და ესეც გლეხ-კაცი ჰასანა! გავედი თუ არა, აქვე ქუჩაში შემხვდნენ.

ხალიფამ მრისხანედ გადახედა სამივეს და ჰკითხა:

— მართალია, რომ ცუდად თურმე მიხსენიებდით და ჩემ ძვირს ამბობდით?

— დიალ, დიალ, მართალია! დააქეშმარიტა ჯაფარმა: ვაკარი უსუფ ამბობდა, უზომო ბეგარას აწერს ხალხს კისერზეო; საიდ გიჩიოდა, ძალიან ცოტა დღესასწაულებს აწესებსო, და ეს ჰასანა კი უსამართლობას გწამებდა!

სამივემ უარჰყო ცილის წამება და თავს იმართლებდნენ, მაგრამ ჯაფარ პირიდან სიტყვასა ჰგლეჯდა და ამბობდა:

— სტყუიან, დიდებულო ხელმწიფევე, ყური არ ათხოვოთ! ვარწმუნებთ, თუ არ აღმოუთქვამთ ეს სიტყვები, გულში მიინცა აქვთ დამარხული და უეჭველად ასე ჰფიქრობენ!..

— მაშ, უბრძანე სამივეს ახლავე თავები დააყრევიონ!

— შეგვიბრალე! შეგვიწყალე! გვაბატივე!— შეჰბლაღელეს საცოდავებმა ერთ ხმად და დაემხნენ პირქვე ხალიფას ფეხ ქვეშ.

— კარგი, შეგიწყალებთ, მაგრამ მხოლოდ სალამომდე! მზე ჩავა თუ არა, არც ერთს კისერზედ თავი აღარ უნდა გეზათ!— სთქვა ხალიფამ და უბრძანა დარაჯებს ბრალდებულების განთავისუფლება.

იმათ გასვლის უმაღლ ჯაფარს სიცილი აუტყდა, მუცელი ხელით ეჭირა და ამბობდა:

— ოჰ, ბრძენთა ბრძენო და დიდებულო გენიოსო მეფეო! რა ჩინებული ხერხი მოიგონე, რომ გაიგო შენის კითხვის პასუხი!

— ხალხის ფიქრი თუ გინდა გაიგო ჩემო ჯაფარ, იმის ლაპარაკს კი არ უნდა აპყვე, იმის მოქმედებას უნდა ადევნო თვალ-ყური, — უთხრა ხალიფამ.



დრო მიდიოდა და ამასობაში სალამოც მოახლოვდნენ. „ენახოთ, რას იზამს ეს ხალხი თავის სიცოცხლს?“ — ნასკნელ დღესაო,“ ჰფიქრობდა ჰარუნი. მაგრამ მოუთმენლობამ დასძლია, მზის ჩასვლას აღარ მოუცადა და ვეზირისა და შეიარაღებულ მცველების თანხლებით სასახლიდან გამობრძანდა. პირველად გაემართა ვაქრის სახლისაკენ. იმისი სახლი მაგრად ჩაკეტილი და მიყრუებული დახვდა, თითქო იქაურობა ამოუყვლეტიათ და მიუტოვებიათო.

— ეი, უსუფ, სადა ხარ? შეჰყვირა ჯაფარმა და კარებს წიხლი ჰკრა: რატომ არ გამოეგებები შენს ბრძანებელს?

პასუხად შიგნიდან ტირილის ხმა მოისმა და, როცა კარები გაიღო, უსუფ, იატაკზე დამშობილი, მწარედ ქვითინებდა.

— რა დაგმართნია, უსუფ? — ჰკითხა ჯაფარმა.

— ვაიმე! მოაღწია ჩემმა აღსასრულის დრომ! შეღრიალა ვაქარმა.

— მაგრე გაატარე უკანასკნელი დღე შენის სიცოცხლისა? — ჰკითხა ჯაფარმა: — ადრე და საქმეს მიჰყავ ხელი; ფული მიინც დათვალე, რომ მწუხარე ფიქრები გაიფანტო!

— ოჰ! რაღად მინდა ფული, რად მინდა საქმე? სალამოზე ხომ მიინც უნდა მოვკვდე! ახლა ყოველივე ამაოა... დამეხსენით! ამოიოხრა ვაქარმა.

— საცოდავი! რა ტანჯვით მოელის უკანასკნელ ეამს!.. არა სჯობია ერთბაშად მოეღოს ბოლო მაგის ტანჯვას! სთქვა შეწუხებულმა ჯაფარმა.

— როგორც გინდა! მიუგო ზიზლით ჰარუნმა.

ხალიფას სიტყვების გაგონებაზე ვაქარი დაემხო მის წინაშე და ტირილით შებრალება და ერთის საათის სიცოცხლე შესთხოვა.

— რაღად გინდა ეს ერთი საათი, თუ კი იმასაც ვერ გამოიყენებ და ისევე უაზროდ გაატარებ, როგორც დღევანდელი დღე გაატარე? უთხრა ხალიფამ: მაგრამ კარგი, იცოცხლე, თუ კი ეგ მცირე დრო მაგდენ სიამოვნებას მოგიტანს! ადექ, უსუფ!



პარუნმა ვაჭრის განუსაზღვრელ მადლობას უთქვამდა იმ ადამიანს, რომელიც მას დაეხმარებოდა. მიტანა და მემუსიკე საიდთან წავიდა. მიტანა და მემუსიკე სახლს და ნახევრად ღია კარებიდან შენიშნეს, რომ საიდ აბრეშუმის ბალიშებზე წამოწოლილიყო; მაგიდაზე მრავალი სხვა და სხვა სასმელები, ტკბილეულობა და ხილეულობა ეწყო და მორთულ-მოკაზმული ქალები ტკბილ მუსიკის ხმაზე ცეკვა-მხიარულობაში ატარებდნენ დროს.

— ბარაქალა! სთქვა სიამოვნებით ჯაფარმა: ამას კი სიცოდნია სიცოცხლის უკანასკნელ დღით დატკობა! მაგრამ რაკი მაგისი აღსასრულის დროც დგება, მივაშუროთ, რომ კარგ გუნებაზე მივასწროთ.

— ვნახოთ, რა იქნება! მიუგო ხალიფამ.

პარუნი მივიდა კარებთან და სამჯერ ტაში დაკრა. შესწყდა მუსიკის ხმა, შედგნენ მროკველი ქალები და გაფითრდა მემუსიკე.

— დაკრა უკანასკნელმა საათმა? ვათავდა ყოველივე? წარმოსთქვა ჩურჩულითა და კანკალით მემუსიკემ.

— ხომ ჰხედავ, რა გრჩება შენის სიამოვნების შემდეგ? ჰკითხა ხალიფამ. ჰკრება ყოველივე, როგორც კვამლი ჰაერში. ნუ თუ არ შეგეძლო უკეთესად გაგეტარებინა შენი დრო?

— იქნება მაგის უგუნურებაშიაც მოიპოვებოდეს მცირეოდენი გონიერება! მოდი, თავი დავანებოთ, განაგრძოს თავისი მხიარულება!

— დეე, იცოცხლოს და ახლა ჩვენი გლეხი ვნახოთ, ის რაღა ამბავშია!

გასცდნენ ქალაქს. ხალიფა ღრმა ფიქრით იყო მოცული. მზე ჩადიოდა, როცა ჯაფარმა დაანახა ხალიფას გლეხის უბრალო ქობი.

— თუ არ ვსცდები, ამ ქობში უნდა სცხოვრობდეს ის საზიზღარი გლეხ-კაცი! ახლა უთუოდ შინ იქნება, სთქვა ჯაფარმა. უცებ თვალი მოჰკრა, რომ ჰასანი მინდორში მუშაობდა გულმოდგინედ და დაღალულ-დაქანცული ფეხებს ძლივს მიათრევდა და ისე მისდევდა უკან ფარცხსა.



ხალიფას ამალის დანახვაზე გლები შეჩერდა, შეზღობდნენ. ოფლი ჩამოიწმინდა და სრულიად დამშვიდებულნი გაშრიკნენ ქირებოდა.

— ჰასან, აი მზე ჩადის და მასთან ერთად შენი სიცოცხლეც ისპობა! უთხრა ჯაფარმა.

— ღიღ არს ალლაჰი და ნება მისი აღსრულდეს! მზად ვაბლავართ და, რაც გნებათ, ის მოიქმედეთ!— მიუგო ჰასანმა.

— რას აკეთებდი მთელი დღე? ჰკითხა ხალიფამ.

— დილით ვთესდი და ახლა, როგორც ჰხედავთ, ვფარცხავ, მიუგო გლებმა.

— რაღა მაგისი გული გქონდა? ხომ იცოდი, რომ ეს დღე შენთვის უკანასკნელი დღე იყო?


— ვიცოდი და იმიტომაც ვაშურებდი, რომ მცირე დრო ხელიდან არ წამსვლოდა და ცუდად არ გამეტარებინა!

— რილასთვის სთესავ, როდესაც შენ მაგის ნაყოფს ველარ მოესწრები?

— მე ვერ მოვესწრები, მაგრამ სხვები მოესწრებიან, უთხრა გლებმა.

— მართალი ხარ, ჰასან, მართალი! გრძელია თუ მოკლე ადამიანის სიცოცხლე, კაცმა ეს დრო სინიღისიერად უნდა მოიხმაროს! საკმაო მიწას გიწყალობებ, რადგან ვხედავ, რომ მამული არ გყოფნის სამუშაოდ. მიპატიებია და შენც მაპატივე! დღეგრძელი იყოს და კურთხეულ შენი პატიოსანი შრომა და სიცოცხლე, დაუთალავო მუშაკო!— უთხრა ხალიფამ ჰასანს, თავი დაუკრა და სასახლეში დაბრუნდა.

თ. კანდელაკი





სინათლა და მისი

განიშნალობა

(შემდეგი)



ქედან იწყება დიდი დღესასწაული მეცნიერების გამარჯვებისა და დგება ახალი დრო ადამიანის გონებრივის განვითარებისა ისტორიაში. ამას შემდეგ განათლებულ კაცობრიობას აღარ სჯერა ის ზღაპრები, ვითომც დედამიწა და ადამიანი ქვეყნიერების ცენტრია და მათ ემსახურება ყოველივე, რაც მათ გარშემოა. ამას შემდეგ ყოველსავე სიმათლის შესვას ჰკარგავს ის აზრი, ვითომ მზე ტრიალებდეს დედამიწის გარშემო, და ის თქმულებაც, ვითომც მზის გაჩერება შესაძლებელი ყოფილიყოს ოდესმე, ადამიანის სურვილისამებრ.

ამავე დროს ახალ სწავლის სინათლეში საუკუნოდ გაქრა ასტროლოგია, ანუ ვარსკვლავების საშუალებით მარჩიელობა, რომელსაც ბევრი მორწმუნე ჰყავდა საშუალო საუკუნოებში; გაქრა აგრედვე ის შიშიც, რომელსაც იწვევდა ახალ მნათობის გამოჩენა. რაკი წარმოდგენილი ჰქონდათ ძველად, ქვეყნიერება ადამიანისთვის არის გაჩენილი, იმისაც ჰფიქრობდენ, დედამიწის და ადამიანის ბედს კავშირი აქვს ვარსკვლავებთანაო. როდესაც გამოჩნდებოდა ახალი კომეტა (კუდიანი ვარსკვლავი), ასე ეგონათ, რალაც ცვლილებას მო-



ასწავებს ქვეყანაზედაო. ასეთი შიში დღემდე დარჩენილია ქვეყანაში და გაუნათლებელ ხალხში და კერძოდ ჩვენშიც. როცა დიდი იქნებოდა კომეტა, მით უფრო მეტს აღელვებს იწვევდა, ღვთის რისხვად მიიჩნდათ და, ვინ იცის, რა არ ელანდებოდათ კომეტის სახით!

1528 წლის კომეტის შესახებ აი რას მოგვითხრობს ერთი ავტორი: „ეს კომეტა იყო ისეთი საშინელი, ისე შეაძრწუნა ხალხი, რომ ზოგი ავად გახდა და ზოგიც შიშით დაიხოცა. კომეტა ვეებერთელა სიგრძის მნათობი იყო, წითელის ფერისა; თავი ისეთი ჰქონდა, თითქო ხელია დამუქული მუშტისა. ისად და მახვილი უჭირავს დასაკრავადაო. მახვილის წვერთან მხრანდა სამი ვარსკვლავი და კომეტის აქეთ-იქით გვერდებზედ მრავალი სისხლიანი ნაჯახი, დანა, ხმალი და იმათ შორის საშინელი, თმა-წვერ აბურძგნულ კაცის სახეები“. 1456 წელს ასევე თავ-ზარი დასცა ევროპიელებს გალღვის კომეტამ. სამის წლის წინად სტამბოლი დაიპყრეს ოსმალებმა და, კომეტა რომ გამოჩნდა, ხალხმა იფიქრა, ვაი თუ ევროპაც ოსმალებს ჩაუვარდეთ ხელში და ქრისტიანობა დაიღუპოსო. ქრისტიანებს კომეტა ოსმალების ხმლად ეჩვენათ, ოსმალებს კი—ჯვრად. პაპა კალიქსტე მესამემ გამოსცა ბრძანება, ყოველ დღე შუადღისას ერეკათ საყდრებში ზარები, ეკითხათ ლოცვები და ეწყველათ ოსმალები.

ასეთი უგუნურება სწამდა გაუნათლებელ ადამიანს; ხოლო როდესაც შესწავლილ იქნა ცის მნათობთა გარეგნობა და იმათის მოძრაობის კანონები, მაშინ ასტროლოგიაც გამოეთხოვა წუთი-სოფელს, და კომეტების შიშიც გაჰქრა განათლებულ კაცის გულში. კომეტების მოგზაურობას თავისი კანონი აქვს. ჟუდიანი ვარსკვლავნი პერიოდულად, სასტიკად განსაზღვრულ ხნის შემდეგ ჩნდებიან, როცა დედამიწას უახლოვდებიან და შემდეგ რამდენისამე წლით იკარგებიან, უჩინარნი ხდებიან. ზევით ნახსენები გალღვის კომეტა, მაგალითად, ყოველთვის 75 წლის შემდეგ ჩნდება ხოლმე, და



არაერთი არაერთი ანგარიში არა აქვს, არც ახარისხებსა და ზედ შეუძლია მოგზაურობის დრო შესცვალოს, ხან აღწევს გვეწვიოს და ხან გვიან...

როგორც ზემოთ ნათქვამიდან სჩანს, სინათლესაც შესძლებია სიბნელის შეტანა ადამიანის გონებაში; იმასვე შეუჩერებია ოდესმე ადამიანის წინსვლა, მაგრამ ახალის ცოდნის ნათელმა ეს სიბნელეც გააფანტა, და ამ დიდმნიშვნელოვან საქმეში დაუფასებელი დეალო მიუძღვის ტელესკოპს, რომლის შემწეობითაც სინათლის სხივები გვიახლოვებენ შორეული საგნებს. ასეთი დიდი მნიშვნელობა აქვს სინათლის სხივის თვისებას, მის დამოკიდებულებას ღუპასა და სხივების ტიპურ შუშებთანა და სარკეებთან. ეს დამოკიდებულებას კიდევ უფრო საყურადღებო ხდება ჩვენთვის მხედველობის პროცესში, რასაც თვალის შესწავლის დროს გავიცნობთ. მაგრამ სანამ თვალის აღწერას შეუდგებოდეთ, გავიცნოთ კიდევ ერთი მეტად მნიშვნელოვანი თვისება სინათლის სხივისა—მისი რთული ბუნება.

ის თეთრი სხივი, რომელზედაც ჩვენ აქამდის ვლაპარაკობდით, ისეთი შარტივი არ არის, როგორც ჩვენ პირველ შეხედვით გვგონია: ის შესდგება შვიდ სხვა და სხვა ფერის სხივისაგან, მაგრამ ჩვეულებრივ ყოფაში ამ გარემოებას ვერ ვამჩნევთ, და თუ შესაფერად შეიცვალა ეს ყოფა, მაშინ ფერადი სხივებიც გამოჩნდება ცალკე-ცალკე. ერთი ასეთი შემთხვევა არა ერთხელ ექნება შემჩნეული მკითხველს, რადგანაც ბევრჯელ ექნება დანახული ცისარტყელა. ეს საინტერესო მოვლენა იქიდან წარმოსდგება, რომ მზის თეთრი სხივი გადის წყლის წვეთებში, რომლებიც წვიმის სახით ეცემიან ზევიდგან; წყლის წვეთებში თეთრი სხივის შემადგენელი ფერადი სხივები გადასტყდება ხოლმე ისე, რომ ჰაერში გამოვლის შემდეგ ცალკე-ცალკე რჩება განაწილებული. მათი განაწილება, განშორება დამოკიდებულია იმ გარემოებაზედ, რომ სხვა და სხვა ფერის სხივები სხვადასხვანაირად იღუნებიან




ანუ სტყდებიან წყლის წვეთებში (ან სხვა რამე ახალ რაში). ასეთივე მოვლენა ხდება მაშინაც, როდესაც მზის სხივი გადის სამკუთხიან ბროლის შუშაში, რომელსაც პრიზმას¹⁾ უწოდებენ; ჩვეულებრივად, ამ პრიზმას ხმარობენ ცისარტყელასავით ფერადის ზოლის ანუ ეგრედ წოდებულის სპექტრის მისაღებად. ხშირად ასეთ სპექტრს ვხედავთ იატაკზედ ან კედელზედ, როდესაც პირდაპირი სხივები გადიან ფანჯრის შუშაში, შანდლის ბროლში ან თეთრ ბოთლში. სპექტრს შეადგენს შემდეგი შვიდი ფერი: წითელი, ნარინჯი, ყვითელი, მწვანე, მტრედისფერი, ლურჯი და იისფერი. სპექტრის წითელი ნაწილს შეადგენენ წითელი სხივები, ყვითელ ნაწილს ყვითელი სხივები, და ამნაირად ყოველ ცალკე ფერად ნაწილს იმავე ფერის სხივების ჯგუფი, რადგანაც პრიზმაში (გინდა წყლის წვეთებში ცისარტყელის დროს) შედის არა ერთი, არამედ მრავალი თეთრი სხივი, და ამის გამო ფერადი სხივებიც ბევრი ჩნდება თეთრი სხივების გადატეხვის და ფერად სხივებად დანაწილების შემდეგ. ამნაირად, პრიზმაში შესვლისა და გამოსვლის დროს თეთრი სხივი ტყდება თავის ბუნების თანახმად, რაზედაც ჩვენ არა ერთხელ გვქონია ლაპარაკი ზემოთ, და იმავე დროს ნაწილდება მის შესადგენელ ფერად სხივებად. რომელიმე მარტივი სხივი რომ ავიღოთ, მაგალითად წითელი, და გავატაროთ სამკუთხიან პრიზმაში, საქმე მარტო გადატეხვით გათავდება, და სხვა ფერის სხივებს ვეღარ მივიღებთ, რადგანაც მარტივი სხივი მხოლოდ ერთის რომელიმე ფერის სხივისაგან შესდგება: ლურჯი—ლურჯისაგან, მწვანე—მწვანისაგან, წითელი—წითლისაგან და სხვა.

გავატაროთ თეთრი სხივი სამკუთხიან პრიზმაში—მივეუშვიროთ პრიზმის გვერდი მზის პირდაპირს სხივებს, დავახვედროთ პრიზმაში გავლილ სხივებს ეკრანი და განვიხი-

1) ამისთანა შემთხვევით შანდლებს ამკობენ.



ლოთ აქედან მიღებული ლამაზი ფერადი სპექტრის (სურ. 15).



ჩვენ ვხედავთ, რომ არც ერთი ნაწილი სპექტრისა, წითლიდან დაწყებული იისფრამდის, როგორც მოსალოდნელი იყო, სხივების გადატების კანონისამებრ, არ ძვეს თეთრ სხივის იმ პირდაპირ გზაზედ, რომელიც აღნიშნულია წერტილებით აბ,—ყველა ფერადი სხივები, რომლებიდანაც შესდგება სპექტრი, გადატებილია და განზედ უხვევენ; მაგრამ იმათში ყველაზე უფრო გადაუხვევია თეთრ სხივის გზიდან იისფერს, შემდეგ ცოტა უფრო ნაკლებად—ლურჯს, ცისფერს, მწვანეს, ყვითელს, ნარინჯს და ყველაზედ უფრო ნაკლებად წითელს.

ასეთის თვისების წყალობით გვეძლევა ღონისძიება დავშალოთ თეთრი სხივი შემადგენელ ნაწილებად და ავხსნათ ის ბუნების მოვლენები, რომლებიც საიდუმლოებად და სასწაულად მიაჩნდა გაუნათლებელ კაცს. იმის დასამტკიცებლად, რომ პრიზმაში გავლის დროს ჩვეულებრივი სხივი მართლა შემადგენელ ნაწილებად დაიშალა და სხვა არაფერი მომხდარა, შეგვიძლია მოუყაროთ თავი ამ სხივებს ლუბის შემწეობით და ისევ თეთრი სხივი მივიღოთ. ამისთვის პრიზმიდან გამოსულ ფერად სხივებს უნდა დავახვედროთ ლუბა, და მაშინ ფოკუსში მივიღებთ დიდ თეთრ ნათელ წერტილს ისე, რო-



გორც ჩვეულებრივ სხივების თავის მოყრის დროს ზევით გვქონდა ლაპარაკი. შეგვიძლია ამ კდისთვის მივმართოთ უფრო უბრალო ღონისძიებას: ავიღოთ შვიდი დაფქული საღებავი ნივთიერება სპექტრის ნაწილების ფერისა თანასწორ ზომით და აურიოთ ერთმანერთში—მაშინ მივიღებთ თეთრ ან მოთეთრო ნაცრის ფერ ნარევს. ან-და გამოვსჯრათ ნქელ ქალღლის ბორბალი, გავყოთ ფარგალით შვიდ თანასწორ ნაწილად და შევღებოთ სპექტრის ფერებად ყველა ნაწილები (სურ. 16); შემდეგ გაუყაროთ ცენტრში (შუაგულში) მავთული და ჩქარ-ჩქარა დავატრიალოთ,—ბორბალი ნაცრის ფერისად მოგვეჩვენება. ეს იმით აიხსნება, რომ ბორბლის ყოველ ფერად ნაქრის შთაბეჭდილება სწრაფად არ იკარგება, ცოტა ხანს კიდევ რჩება თვალში,*) და ამის გამო ჩქარ-ჩქარა ტრიალის დროს შემდეგ ნაქრების ფერების შთაბეჭდილებაც ერევა წინანდელებს, და ყველა ერთად ახდენს თითქმის თეთრის—ნაცრის ფერის შთაბეჭდილებას. ამის მსგავსად, ფერადის სხივების შერევით თეთრი სხივი კეთდება.



სურ. 16

ი. მოსეშვილი



*) მაგალითისთვის აიღეთ მაშით ნაკვერცხალი ან დანაკვერცხლებული თაიანი ჯოხი და სწრაფად გააქან-გამოაქანეთ—დაინახავთ გრძელ ნათელ ხაზს. ამის მიზეზი ის არის, რომ თვალში ცოტ-ცოტა ხანს ინახება გაქანებულ ნაკვერცხლის გზის ყოველი ნათელი წერტილი, და, რაკი ნაკვერცხალი სწრაფად მოძრაობს, ყველა ნათელი წერტილი ერთად აწარმოებს ერთ მთელის ხაზის შთაბეჭდილებას.



ნაკოლეონ გონაპარტი

VI

საუზმე სენ-სირში



სიამოვნო ლაპარაკით გაჯავრებული ნაკოლეონი შევიდა სასტუმროში, სადაც მამის მეგობარი პერმონი ელოდა (მამა გამოჩენილ მწერალ გრაფინია დებრანტესისა). ყმაწვილმა ჩუმად დაუკრა თავი.

— ჩემი ცოლი სენ-სირში მრდის შენს დასთან, თუ გინდა, წამოდი. შენ და ჩემი შვილი დათხოვნრღები ხარო, — უთხრა პერმონმა.

— დიდად გმადლობთ, — უპასუხა ნაკოლეონმა და გაჰყვა პერმონს. გარეთ ეტლით ელოდა ქალბატონი პერმონი. ისინი ცქჩასხდნენ და წავიდნენ სენ-სირში, სადაც ნაკოლეონის და ელიზა იზრდებოდა.

სენ-სირში ელიზა წამტრიალგვი დაუხვდათ.

— რა დაგემართა, გენაცვალე? ჰკითხა ქ. პერმონმა, — რადა ხარ და ღონებულნი? ხომ არ გაგიჯავრდნენ?

— არა, — ჩუმად უპასუხა ელიზამ.

— აღბად რამე დააშავე და გეშინიან, არ დაგსაჯონ?

— არა, — წაილაპარაკა კვლავ ქალმა.

— მაშ, რა მოგივიდა, რად გიტირნია?
ელიზა გაჩუმებული იდგა.

— რატომ არ ამბობ?—უთხრა ნაპოლეონმა.
ქალი მაინც ხმას არ იღებდა.

ქ. პერმონმა ცალკე გაიყვანა და აღერსით უთხრა:

— ნუ გეშინიან, სთქვი, მე ხომ დედობას გიწვევ და შენც

ნურას დამიშალავ. მითხარი, რა
გაწუხებს?

ელიზემ ტირილი დაიწყო.

— თქვენ, რასაკვირველია
გაიგებდით, რომ ჩვენი საყვა-
რელი მონღუი თავს გვანე-
ბებს.

— არ ვიცი, — ლიმილით
უპასუხა ქ. პერმონმა, — როდესაც
გაიგო მწუხარების მიზეზი.

— მეცოდები, ჩემო კარგო, თუ
მაგიტომ სწუხარ.

— მაგიტომ კი არა ვტი-
რი, — გააწყვეტინა სიტყვა ელი-
ზამ. — ჩემი ამხანაგები ვახშამს უმართავენ...

— მე რე, შენ არ დაგპატიე?

— სწორედ მაგიტომ ვტირი, რომ არ შემძლიან მონა-
წილეობის მიღება... ფული არა მაქვს.

— როგორ, სულ არა გაქვს? — ჰკითხა თითონ პერმონ-
მა და მიუახლოვდა პატარა ქალს.

— ექვსი ფრანკი მაქვს, რომლითაც ექვსი კვირა უნდა
ვიცხოვრო.

ნაპოლეონმა ჯიბეში ხელი ჩაიყო, მაგრამ მაშინვე ამო-
იღო და გაჯავრებულმა ფეხები დააბაკუნა.

— რამდენია საკირო? — ჰკითხა ქ. პერმონმა.

— ძალიან ბევრი!



ნაპოლეონ ბონაპარტი.



— ზაინც?

— თორმეტი ფრანკი.

— აი, აიღე, უთხრა ქ. პერმონმა და ჩაუღო ხელში ორი ოქრო. აჰა, ნურავის ეტყვი.

შემდეგ ყველანი შინ დაბრუნდნენ. ნაპოლეონი ძალიან გაჯავრებული იყო.

— რა დამცირებაა! — წამოიძახა ყმაწვილმა.

— საწყალი ელიზა! ეს რა ჩვეულება უოფილა ჩვენ სასწავლებლებში! ესეთი დაპირდაპირება ღარიბ და მდიდარ მოსწავლეთა შორის! ვის შეუძლიან თორმეტ-თორმეტი ფრანკის კამოღება, როცა უმეტესი ნაწილი ღარიბი მოსწავლენი არიან.

ნაპოლეონს ამ შეკითხვაზედ არავინ უპასუხა და ჩუმად მივიდნენ სამხედრო სასწავლებლამდე. პერმონმა ცოლშვილი ვაისტუმრა შინ, თითონ კი ყმაწვილს შეჰყვა.

VII

საუბარი

მინდა მოგელაპარაკო, — უთხრა პერმონმა, მარტონი რომ დარჩნენ. — მითხარ, რად უყურებ ყველაფერს ეგრე უკმაყოფილოდ? შენს ხანში ეგ უმიზეზოდ არ იქნება

— თქვენ ვგონიათ, ელიზას ტირილი მე კი არ მაწუხებდა, მეტადრე როდესაც გვრძნობდი, რომ ვერ უშველიდი, — უპასუხა ნაპოლეონმა ხმის კანკალით.

— არა, წინააღმდეგ დაღონებული იყავი. ამხანაგებთან ხომ არ მოგივიდა უსიამოვნება? ხომ არ წაეჩხუბე ვისმე? უცნაური ყმაწვილი ხარ...

— ძალა უნებურად გახდება ადამიანი უცნაური, როდესაც წამდაუწუმ თავმოყვარეობას უღაბავენ. როგორც უნდა დამალო სიღარიბე, მაინც თავს გამოაყოფინებენ.

— სიღარიბე სირცხვილი არ არის, ჩემო კარგო, — უთხრა პერმონმა.

— რა უყო, თუ-კი არ შემიძლიან ჩემის გრძობის და-
მალვა. ვერ წარმოიდგენთ, რა რიგად იპრანქებიან დიდებულები
ან როგორ გვიყურებენ ჩვენ, ღარიბებს.

— თქვენს სასწავლებელში, როგორც მთელ დედამიწაზე,
ბრძოლაა მდიდრებსა და ღარიბებს შორის. ეგ არც საკვირვე-
ლია და არც საწყენი.

— ეგ სულ სხვაა. დიდს ესმის ყველაფერი და არ გაბე-
დავს მეზობლის წყენას, მხოლოდ იმისთვის, რომ ღარიბია.
აქ-კი მოსწავლენი არიან... თუმცა მე იმათ არც-კი ვამტყუ-
ნებ. დამნაშავე თითონ სასწავლებელია: რისთვის აძლევენ
ნებას ზოგიერთს, რომ ცალკე მოსამსახურე უქირავთ?

— რატომ, თუ-კი თავის ფულს აძლევენ?

— სწორედ ეგ არის უბედურობა. კიდევ ეგა სწყინს
ღარიბს, რომ თითონაც ისე ვერ იქცევა. სასწავლებელში
თანასწორობა უნდა იყოს, როგორც სპარტაში. მინდა არა
მივართვა სამხედრო მინისტრს.

— რისთვის, ერთი მითხარი? გინდა ამხანაგებმა შეგი-
ძულონ, ან ხმალში გაგიწვიონ?— გაიწყვეტინა სიტყვა პერ-
მონმა.

— მე არც ერთს შეუშინდები და არც მეორეს—თამა-
მად უპასუხა ნაპოლეონმა.

— ნება მომეცი მამიშენის მეგობარს—გითხრა, რომ რა-
მდენადაც სირცხვალია გაქირების დროს უკან დაწევა, იმ-
დენად დაუფიქრებელია ძალად საფრთხეში თავის გაბმა. და
მხოლოდ იმის გულისთვის, რომ რამდენსავე მოწაფეს საკუ-
თარი მოსამსახურე ჰყავს, რომელიც, დარწმუნებული ვარ,
თუ საჭიროა, სხვასაც მოესამსახურება, არა ღირს სასწავლე-
ბლის წესების გამოცემა, რადგანაც ეგ ადვილი საქმე არ
არის.

— არა, მარტო მაგიტომ-კი არ ვამბობ, იმ მაგალითად:
ჩემის აზრით, აქაური ბატონ-კაცური ცხოვრება სულ მეტია
ჩვენისთანა გაქირვებულ ყმაწვილებისათვის, რომელნიც ჯა-



რის კაცებად ვემზადებით, და რომელთ უმეტესი ნაწილი სახელმწიფო ხარჯზე იზრდება.

— შენც ეგრე ცხოვრობ?

— რასაკვირველია, მაგრამ წარმოიდგინეთ, ისეთ სადილებს გვაქმევენ, რომ დღესასწაულებში, როდესაც ყველაფერი უკეთესი უნდა იყოს, ძალიან ბევრი ხარჯი გვხდება თვითფულ მოსწავლეს. ოპ, ჩემი ნება რომ იყოს, სულ გამოცვლიდი აქაურს წესებს! გავაუმჯობესებდი!

პერმონი მიხედა, როგორც იყო საქმე: მოაგონდა შეილის ნაამბობი მომავალ დღესასწაულის შესახებ; მოაგონდა, რომ შეიღმა ფული სთხოვა.

— ალბერტმა ორი ლუილორი მთხოვა დღესასწაულისათვის, რომელსაც მასწავლებელს უმართავენ, მგონი; თუ გინდა, შენც მოგცემ, — უთხრა პერმონმა გაკვირით.

ნაპოლეონი აენტო.

— დიდად გმადლობთ, საჭირო არ არის, — უპასუხა ყმაწვილმა.

— შარშან ამ დროს — განაგრძო პერმონმა, თითქოს არ ამჩნევდა ყმაწვილის მღელვარებას, — მონპელიეში ვცხოვრობდი. ერთ დღეს შემატყობინეს, ვილაც კორსიკელები მოვიდნენ და ერთი მათგანი ავადმყოფიო. მაშინვე წავედი სანახავად. ავადმყოფი მამაშენი აღმოჩნდა. საწყალი, ჩემ მკლავზე გარდაიცვალა და თავისი ნაპოლეონი მე ჩამბარა. ის იყო ბრიენის სკოლიდან გამოხვედი და სამხედრო სასწავლებელში ემზადებოდი შესვლასა.

აქ პერმონი გაჩუმდა, თითქოს ღონეს იკრებავდა ტყუილის სათქმელად.

— მამა შენი რომ კვდებოდა, ფული მომცა და მთხოვა, გაკვირების დროს გადაეცი ჩემს შეილსაო. აი, ის ფული, აიღე და მოიხმარე, როგორც გინდოდეს.

ნაპოლეონმა გამოართვა ფული და უცნაურად შეზხედა.




— გართმევთ ამ ფულს, რადგანაც მამა ჩემისა კუთვნილია დედას არ გამოვართმევდი, ისეც გაქირებულ ცხოვრებას ნება არა მაქვს იმას დავაკლო რამე... ჯერ კიდევ ვემორჩილები ყველაფერს, მერე-კი, როცა ჩემი ნება იქნება... ახლაკი, რაც უნდა იყოს, დავათაეებ ჩემ არზას და მივართმევ მინისტრს...

ლიუდოვიკ XVI მიერ დაარსებული სამხედრო სასწავლებელი მართლა ვერ ეწახურებოდა თავის დანიშნულებას. იქ თითქმის მეფურად იზრდებოდნენ ღარიბი ოჯახის შვილები. ნაპოლეონი ჯერ ისევ მოსწავლე იყო, როდესაც გეგმა შეადგინა სასწავლებლის გაუმჯობესობისა და მართლაც გააუმჯობესა.

1 ენკენისთვის 1785 წ. 16 წლის ნაპოლეონმა საუკეთესოდ გაათავა სასწავლებელი.

თ. ბაქრაძე





მითღობია

ბროადის ომი



არესა ღმერთის დაჭრა

ერას აღფრთოვანებულ სიტყვების შემდეგ, ათინა ქალღმერთი მიუახლოვდა დიომედესს, რომელიც ამ დროს თავის სამხედრო ეტლიან იდგა და ჰანდაროსის ისრისაგან განგმირულ სხეულის ნაწილებს საგრილებელ წამალს სცხებდა. ქალღმერთამ ესეთის საყვედურის კილოთი მიმართა აქვევლებს ძლევა მოსილ გმირს:

«დიომედეს! ქეშმარიტად რომ შენ მამა შენს არა ჰგაეხარ! მამა შენის მამაცობა და ომში გაბედულობა ყველგან განთქმული იყო. ჩემის დახმარებით მის არა ერთხელ შეუშუსრავს ძლევა მოსილი მტერი. შენ კი რაღა მოგივიდა? ნუ თუ ისე დაიქანცე, რომ მტერს ვერ უმკლავდები? ეგების სიძხდალით მოგდის, რომ ტროადელებს უთმობ ბრძოლის ველს და ასე ნაადრევად ულოცავ მათ გამარჯვებას!»

დიომედესმა ამ სიტყვებზე ესე უპასუხა ათინა ქალღმერთს: «ღმერთების მამათ მთავრის ეუფუნა თვალებიანო ქალიშვილო, ათინავ! გულახდით უნდა მოგახსენო ჩემი აზრი და ფიქრები. მე არც დავღლილვარ ომისაგან და არც

სიმბდალეს დაუბუღია ჩემს გულში მე კარგად მახსოვს შენი სიტყვები, აფროდიტა ქალღმერთის გარდა, ნურც ვერც ლაქ ღმერთს ნუ შეებრძოლები და სამკედრო-სასიცოცხლო ომს ნუ გამოუცხადებო. დიად, მე კარგად მახსოვს ეს შენი დარიგება, ამ შენს სიტყვებს პატივს ვცემ და საესებით ვასრულებ და, აი კიდევაც ამიტომაა, რომ ყველგან და ყველაფრის გამანადგურებელ ომიანობის ღმერთი არესი ასე შეუბრალებლად ასალმებს წუთი-სოფელს ელლინთა რაზმების მეომრებს. მე რომ შენის სიტყვების რიდი არა მქონოდა, აქამდის ათასჯერ შევებრძოლებოდი ჩვენის რაზმების ასე გამანადგურებელ თავგასულ ღმერთს და, ან სიცოცხლეს შევწირავდი ან ბრძოლის ველიდან გავაძევებდი!”

— ჩემო გულითა და სულით საყვარელო, ჩემო ძვირფასო დიომედეს! უპასუხა აქვევლების ძღვევამოსილს გმირს ათინა ქალღმერთმა, — „ამიერიდან სრულს უფლებას განიქებ შეებრძოლო უკვდავ ღმერთებსაც-კი ამიერიდან ნურც არესის და ნურც სხვა ღმერთისა ნუ გეშინია. მე თვითონ დაგებმარები და ხელს მოგიმართავ. პირდაპირ გააქანე შენი სამხედრო ეტლი არესისაკენ და, რაც ძალი და ღონე გქონდეს, სტყორცნე შეუბრალებლად ისარი ნუ მოგერიდება, ნუ შეგეშინდება! ღმერთების მამათ მთავარი, ყოვლად შემძლე, ზევსი მოწყალე თვალთ უყურებს აქვევლებს და ისიც ამიტომ დახმარებას არ მოგაკლებს! მაშ, ძვირფასო დიომედეს, მეტი სიმხნე და მეტი გაბედულობა და აქვევლთა რაზმების საქმეც კეთილად დაგვირგვინდება! ნუ შედრკები, მოურიდებლად გაილაშქრე არესის წინააღმდეგ და შეუბრალებლად გაპკმირე ის ყველგან და ყველაფრის დამლუპველი!“ დიომედესიც სისწრაფით ჩაჯდა ეტლში.

ამ სიტყვების შემდეგ, ათინა ქალღმერთი დაუყონებლივ შეჯდა დიომედესის სამხედრო ეტლზედ, მეეტლე საენელო-სის მაგიერად.

ათინამ მაგრად მოიმარჯვა ხელებში ცხენების სადავეები და ელვის სისწრაფით გარეკა დიომედესის ფეხმალი ცხენები



ბრძოლის ველზედ სწორედ იმ ადგილასაქენ, საცა არესი ტროადელებთან ერთად მუსრს ავლებდა აქვეელები რაზმები ათინა ქალღმერთამ, რომ იგი არესს ან სხვა ვისმეს არ შეე-მჩნია, ჩაჩქანი ჩამოიფარა პირის სახეზედ.

არესმა, დაინახა თუ არა მისკენ ეტლით მიმავალი დიომედესი, დაუყონებლივ დასტოვა ტროადელების რაზმები და დიომედისაკენ გაეშურა. მოუახლოვდა ეტლი თუ არა, არესმა მძლავრად სტყორცნა დიომედესს თავისი ბრინჯაოს თავწვეტიანი ისარი. ათინა ქალღმერთამ არესის მიერ მძლავრად ნატყორცნი ისარი დიომედესს ააშორა. მძლავრად ნასროლმა ისარმა ელვის სისწრაფით ჰაერი გააპო და ზუზუნით იქვე ეტლის მახლობლად მიწაში ჩაეფლო.

ამავე წამს დიომედესმაც მოიმარჯვა თავისი მშვილდ-ისარი და, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, სტყორცნა არესს. დიომედესის მიერ ნასროლმა ისარმა ნაკუწ-ნაკუწად აქცია არესის ბრინჯაოს სარტყელი და მძიმედ დასჭრა აქვეელების რაზმების დამლუბველი, თითქმის ერთიანად გამანადგურებელი ომიანობის ღმერთი.

დაჭრილმა არესმა ისე საზარლად შეჰყვირა, რომ გეგონებოდათ ცხრა ან ათი ათასი მეომარი ბრძოლის ველზედ გამოსულა და სამკედრო სასიცოცხლო კიეინა ასტეხაო. არესის საშინელმა ყვირილმა ცა და დედამიწა ერთიანად შეაზანზარა, ტროადელებისა და აქვეელების რაზმთა მეომრები შიშისაგან გაფითრდნენ და იარაღს ხელი ცივად ჩამოაშორეს.

მძიმეთ დაჭრილმა არესმა დაუყონებლივ დასტოვა ბრძოლის ველი და ოლიმპოსის მწვერვალისაკენ გაემართა ღმერთების მამათ-მთავრის ზევსის შესაჩივლელად. არესი მწუხარედ ჩამოჯდა ღმერთების მამათავრის ზევსის გვერდით და ოლიმპოსის მბრძანებელს აჩვენა თავისი მძიმე კრილობა, საიდანაც შედრევიანით გადმოსჩქეფდა წითელი ღვთაებრივი სისხლი. არესი ცხარე სიტყვებით უჩიოდა ათინა ქალღმერთას და აქვეელების ძლევა მოსილ გმირს დიომედესს.

ოლიმპოსის მბრძანებელია მრისხანედ გადახედს ჩაჩენს და ესე უთხრა: „ხმა გაიწყვიტე, ნუ ღრიალებ, შენ, მუდამ დაუცხრომელო! ღმერთებ შორის ყველაზედ უფრო შენ მეჯავრები! მუდამ ემს ჩხუბი, უთანხმოება და კაცის სიკვდილი პირზედ გაკერია და გაგონდება! ვერასოდეს ვერ მოისვენებ, მუდამ შფოთსა და დავიდარაბას არ იშლი! დიალ! ყველაფერი ეს ასეა, მაგრამ შენ მაინც შეილი ხარ ჩემი და შენს მწუხარებას არ შემოძლია გულგრილად უცქირო! შენ რომ სხვა რომელსამე ღმერთის შვილი იყო, აქამდის ჯოჯოხეთში წარგზავნიდი!“


სთქვა რა ეს ღმერთების მამათმთავარმა, დაუყონებლივ მოიწვია უკვდავ ღმერთების ექიმი პეონი და უბრძანა არესი განეკურნა. პეონმა არესს კრილობაზედ დაადო მსწრაფლ საკურნებელი წამალი. არესი მართლაც სულ მოკლე ხანში განიკურნა მძიმე კრილობისაგან.

არესის ბრძოლის ველიდან განდევნის შემდეგ ათინა ქალღმერთი და ჰერაც ოლიმპოსის მწვერვალოზედ უკანვე დაბრუნდნენ.

ა. მიქაბერიძე

(შემდეგი იქნება)





ანდაზები და ბავშვანები

ავსტანები

მოაკელით ერთი წუმწუმა,
რომ ოთხი უჯრა დარჩეს?

(გაგონილი და ჩაწერილი ნიკუშა
მაჩაბნლისაგან).



(ახსნა:

ანდაზები

1. ძროხას მარჯილი მოატყუებს, კაცს — ენა.
2. თვალი თვალის მტერი არის.



რ ი ბ უ ს ი




ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვ



თავისუფალი
და ახალი




კავშირი
ვინა

(ნაცვალსახელი)

ვინა



შინა



ვინა

1. ლ. N-ში მოთავსებულ გამოცანების ახსნა:
გამოცანების ახსნა: — 1) ფეიქარი და საფეიქრო.

2)



65

1909 წლის იანვრიდან 1910 იანვრამდე.



საქართველოს
მემორიალი

საქმეწვილო სურათებიანი ჟურნალი

ნ ა კ ა დ უ ლ ი

(წელიწადი მეხუთე)

წლიურ ხელის მომწერლებს მიეცემათ:

24 წიგნი ჟურნალი „ნაკადუ-ლი“ მკირე წლოვანთათვის **12** წიგნი ჟურნალი „ნაკადული“ მოზრდილთათვის.

პრემია: მიეცემა წლიურ ხელის მომწერლებს 1909 წ. „რას გვიამბობს ოთახი“ (ავენარიუსისა)

ჟურნალს ხელმძღვანელობს უწევს საკანკებოდ არჩეული სარქაქციის კომისია.

ფასი ჟურნალისა: წლიურად ხუთი მანეთი. ნასკვარის წლით სამი მან.

სამზღვარ გარედ: წლიურად შვიდი მანეთი. ნახკვარ წლით ოთხი მან.

მკირე წლოვანთათვის 24 წიგნი სამი მან.—მოზრდილთათვის 12 წიგნი სამი მან.—ხელის-მოწერა შეიძლება წლიურად და ნახკვარა წლით. ფულის შემოტანა შეიძლება ნაწილ-ნაწილად.

ხელის მოწერა მიიღება:

1) „ნაკადულის“ რედაქციაში, გოლოვინის პროსპ., ზუბალოვის სახლ., № 8, ყოველ-დღე 9—2 საათ., სამშაბათობით საღამოთიც.

2) წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში, სასახლის ქუჩა, სახლი თავად-აზნაურობისა. წლიურად ფასი ჟურნალისა დამატებით, ესე იგი 3 წიგნისა რჩება ისევ ნ მანეთი.

ნაკადულის რედაქცია სთხოვს ხელის-მომწერთ:

ვისაც ჟურნალის ნომრები დააკლდება, მიმართონ აგენტს ანუ რედაქციას, არა უგვიანეს ერთის თვისა.

ვინც მასალას გამოგზავნის დასაბეჭდათ ვთხოვთ გარკვევით და სუფთად იყოს დაწერილი.

რედაქტორი: მ. ი. დემურია.

გამომცემელი: თავ. პ. ი. თუმანიშვილი